



საქართველო
საბჭოთაო

X.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი.

X.

№. 44

კვირა, 27 ოქტომბერი 1902 წლისა.

№. 44

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კან. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სხვა თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კან. ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელებელთა კავშირის» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სხვა-თვის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакция. «КВАЛИ».

შინაარსი: კადეკ ერთჯერ, დ. კოლხიდეასა.—სხვა და სხვა ამბება.—კოტეჯანდუხა.—საზღვარ-გარეთ.—რუსეთის ცხადება.—მონოლოგი, ბ. ღამთათაძის.—უსათაურთ, მთ. ა. ხეხუცის თარ. ა. შათაშვილისა.—დაკრავს საათი, ლექ. კ. გოგოლაძისა.—იუდა, ლექ. ბ. ხახუნაძისა.—წოდების არა მქონე.—წერ. ნათესაელები.—შიდ. ზოგო. ძარ. თვისებანი, ი. გომართელისა.—კან. მე-VI კან. და ქართ. ქალი, ა. ჩხენკელისა.—ქართ. თეატრა.—წერ. რედ. მამართ.—შეგდომის გასწავლება.—განცხადებანი.—

При этомъ № прилагается объявление отъ магазина П. С. Дорожнова.

კადეკ ერთჯერ.

... ქართულ პრესაში და საზოგადოებაში ხშირათ შეხვდებით იმ აზრს, ვითომ „კვალი“ რჩენებს უარ ყოფდეს, დედა ენა არ უყვარდეს, მის დაცვას არ ცდილობდეს, ქართველი ხალხს კეთილდღეობაზე არ აზრუნავდეს და... მის გადაშენებას... ხელს უწყობდეს!..

„კვალს“ არა ერთჯერ გამოუთქვამს ყველა ამ კითხვების შესახებ თავისი აზრი, არა ერთჯერ დაუმტკიცებია, რომ მას ცილს დებენ, მაგრამ ერთი ფრანგის თქმის არ იყოს, თუ მუდამ იმეორეთ ქორი, სიცრუე ვინმეს წინააღმდეგ, უმრავლესობას დარჩება შთაბეჭდილება, რომ ამ „კინმეს“ მართლაც რამე დანაშაული, სისაძაგლე ჩაუდენია. აი სწორედ ასეთი ფსიხოლოგიური მოსაზრებით ხელმძღვანელობენ „კვალის“ მოწინააღმდეგეები, როდესაც დაჟინებით ავრცელებენ „კვალის“ შესახებ ათასგვარ ქორებს...

როდის, რით ჰყო უარი „კვალმა“ ერი?! არაოდეს, არაფრით. „კვალს“ უყვარს ქართველი ერი წმადა, უსგარო სიყვარულით; ის მუდამ მზათა და თავის დანიშნულებათაც რაცხს ქართველ ხალხს ემსახუროს. გაზეთი თავის მკითხველს უთავალისწინებს ჩვენი ქვეყნის განვითარების უმთავრეს პირობებს, მის კანონებს. თავის მოვალეობას გაზეთი ასრულებს პირუთვნელათ, პირნათლათ.

მაგრამ საჭიროა კითხვა სხვა ნაირათ დავაყენოთ. საჭიროა უფრო დაახლოვებით ვავიცნოთ, თუ რას წარმოადგენს, ერი. ერი არ წარმოადგება ერთი დედამამისაგან. ერი არის რთული საზოგადოებრივი მოვლენა. როგორც რასა, ისე ერი არის ვრავარი ნარევი, შემდგარი სხვა და სხვა ტომის და ჯურის წარმომადგენელთაგან. ერს ქმნის არა შთამომავლობა, ნათესაობა, არამედ ცხოვრების საზოგადოებრივი პირობები.

გავხსენოთ ინგლისის ისტორია. იმ ხალხმა, რომელმაც ერიბურა დიდი ბრატანია, დაკარგა თავისი ენა, ეროვნული თავისებურება და შეუხასხლობდა დამპყრობილებელ ერს. მათი შეერთებისაგან წარმოიშვა ახალი ერი—ინგლისელი. მეორე მაგალითი: სლავიანები. რანაირათ დაქსაქსულია, რამდენი სახელმწიფოებათ და ერებათა დაყუარულია... და მათ შორის მტრობა იშვიათა მოკლენა არაა. მესამე მაგალითი: შვეიცარიელები. ეს ერი შედგება უმთავრესათ სამი ხალხისაგან. ერთი—ლაპარაკობს გერმანულ ენაზე, მეორე—იტალიანურ და მესამე—ფრანგულ ენაზე. ამაირათ შვეიცარიის ერი შემდგარია სამი ერის წარმოადგენელთაგან. თითოეული მათგანი ერთი მეორისაგან განსხვავდება არა მარტო ენით, არამედ მრავალგვარი თვისებებით. მიუხედავათ ამისა მათ შორის სრული თანხობაა; შვეიცარიის რესპუბლიკის ყველა მოქალაქე ერთობის სურვილითა გამსჭკალული. შვეიცარიელები წარმოადგენენ ერთ ერს. იტალიანურ, ფრანგულ ან გერმანულ ენაზე მოლაპარაკე კანტონებს არამც თუ არ ეტყობა არავითარი სურვლო გამოყუარ ფედერაციას და მიეკრას იტალიის, საფრანგეთს ან გერმანიას; პირიქით ეს კანტონები მუდამ მზათ არიან დაცვან ფედერაციის საერთო ინტერესები და, თუ გარემოებამ აიძულა, იარალითაც შეებრძოლონ ამ სახელმწიფოებს.

ეს სამი მაგალითიც კმარა იმის დასამტკიცებლათ, რომ საზოგადოებრივი პირობები: ა) ქმნის ერს; ბ) ერთ ერს ყოფს მრავალ ერებათ და გ) სხვა და სხვა ერებს ხშირათ ერთ ერთ აქცევს. თუ ეს ასეა—მაშ ერი ყოფილა ისეთი ისტორიული ფაქტი, რომლის არსებობა და ვითარება დამოკიდებულია საზოგადოების განვითარების ჩვეულებრივი კანონებისაგან. მაშასადამე მცნება—ერი არ წარმოადგენს ურყველ პრინციპს, ისეთ პრინციპს, რომელიც საზოგადოების განვითარებას საფუძვლათ უნდა დაედვას, ისეთ პრინციპს, რომლისთვისაც საზოგადოება არსებობს. არა, მცნება—ერი, როგონება საზოგადოების მხოლოთ ერთგვარ მდგომარეობას გამოხატავს და ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ყოველი მდგომარეობა...

მარეობა ცვალებადია და ეროვნებაც ამ საერთო კანონს ექვემდებარება.

**

ახლა გავსინჯოთ მეორე მხარე კითხვისა. რისგან, როგორ შედგება ერი?..

**

ისტორია გვიმტკიცებს, რომ ერი არ წარმოადგენს ერთფეროვან ბრბოს, რომ ერთი მოქმედობს სხვა და სხვა ძალა, სხვა და სხვა ელემენტები. როგორც წარსულში, ისე დღესაც ამ ელემენტთა ურთიერთობას, მათ შორის არსებულ დამოკიდებულებას აქვს დიდი მნიშვნელობა. თითოეული ელემენტის არსებობის პირობათა კრიტიკულათ შესწავლა აუცილებელი საჭიროა; საჭიროა აწონ-დაწონვა და ერთიმეორესთან შედარება თითოეულის მდგომარეობისა დამოთხოვნილებათა. პირუთენელი მწერალი ეცდება შეისწავლოს თავის ერის ცხოვრება, ერის შექმნის ელემენტთა მდგომარეობა და ამნაირათ გაითვალისწინოს—რაა გასაკეთებელი. ერის ცხოვრების კრიტიკულათ შესწავლის შემდეგ პატიოსანი და შეგნებული ადამიანი იძულებული იქნება დაიცვას ის, რაც ხალხის წინსვლისათვის გამოსადგვია და დაგმოს, უარ ყოს ის, რაც უმრავლესობას აქვეითებს. მწერალიც იმას უნდა გამოესარჩლოს, ვინც დაჩაგრულია, ვინც მართალია და თუ ეს დაჩაგრული ერის ნამდვილი წარმომადგენელი და დამცველიცაა, მაშინ... როგორ, რა საფუძვლის ძალით უკივილებენ, ვითომ ასეთი მწერალი სამშობლოს უარს ყოფდეს...

**

არა, ცილის, წამებაა, ვითომ ჩვენ ჩვენი ერი არ გვიყვარდეს. მაგრამ ჩვენი სიყვარული განსხვავდება სხვების სიყვარულისაგან... ჩვენც სხვებთან ერთათ მიგვაჩნია აუცილებელ და საუკეთესო იარაღათ ჩვენი სამშობლო ენა ბავშვის და თვით ხალხის აღზრდაში. მხოლოდ სამშობლო ენის საშუალებით შეგვიძლია ნორმალურათ განვითარდეთ, ნორმალურათ შევითვისოთ უმაღლესი კულტურა და არსებობისათვის ბრძოლაში მეტი უნარი გამოვიჩინოთ და არ დავმარცხდეთ. ენა არის ხალხის ბუნებრივი იარაღი და ამ იარაღის დაკარგვა ხალხისათვის უბედურებაა.

დიახ, ერმა უნდა შეიძინოს ყოველივე ის, რაც საჭიროა მისი წარმატებისათვის, უნდა განავითაროს ყოველივე ის, რასაც მოითხოვს კაცობრიობის წინსვლის პირობები და დაგმოს. უარყოს ის, რაც სასარგებლოა მხოლოდ უმცირესობისათვის და მანებელი უმრავლესობისათვის.

**

გვეტყვიან—ცხოვრება რთულია და ერის თავისებურების დაცვა ხშირათ კომპრომისებს მოითხოვს... ასე ამბობს ჩვენი ინტელიჯენციის უმრავლესობა, როდესაც ლაბარაკი ჩამოვარდება სომხებთან ბრძოლის შესახებ... ანაზედ შემდეგ.

დ. კოლხიდელო.
(შემდეგი იქნება).

P. S. „ცნ. ფურც“- 1964 ნომერში ბ. Spectator-ი გამოესარჩლა იმავე გაზეთის 1951 ნომერში მოთავსებულ მეთაურის ავტორს და ბრძანებს: „ჩვენმა რედაქციამ („ცნ. ფ.“) წერილი წაუშლვარა (ბ. რ.-ს წერილს), რომელშიაც ამტკიცებდა (კურსივი ჩვენი. დ. კ.), რომ ეს მოძღვრება (ე. ი. ის, რომლის მიმდევარიც უნდა იყოს ბ. რ.) არ ახალია-ძველია, რომ ასეთმა აზრმა (ამ მოძღვრებამ) თქვენი ქირი მოიჭამა“.

„ცნ. ფ.“-ლის „პუბლიცისტი“-ს მიერ გაზეთში ერთი ხაზის გასმით რთული, დიადი სოციალოგიური მოძღვრების

გაუქმებას და დაუსაბუთებელი ფრაზებით გამოლოცვას-ფრაზიორობა ვუწოდებ. ეს ეწყინა ბ. Spectator-ს. მაგრამ ბ. Spectator-იც ვერ გაცილდა უსაბუთო ფრაზებს. არ ვითარი ფაქტი არ მოყავს (შეუძლია-კი-მოიყვანოს?) ვის მოძმის ფრაზების გასამართლებლათ—გარდა ისევ ფრაზებისა... აღბათ ბ. Spectator-იც ისეთივე მცოდნე ეკონ მისტია, როგორიც ბრძანდება „პუბლიცისტი“, ავტო „ცნ. ფ.“-ის მეთაურისა.

P. S.—ში*) მე აღვნიშნე მხოლოდ ის, რომ „ცნ. ფ. „პუბლიცისტი“ არ უნდა წამოესროლა უაზრო ფრაზა: და ეს მოძღვრება უკვე გაუქმდა! მე მოვასხენე, რომ ეს მოძღვრება გაუქმდა მხოლოდ რამოდენიმე ადამიანის თავში მელნიც უკვე დაუბრუნდენ ძველ... მოძღვრებებს...

... და „ცნ. ფ.“-მა კი დაუკრას ტაში ბულგაკოვს კიდევ ერთი პატარა შენიშვნა ბ. Spectator-ს. ბ. Spectator-ი მისაყვედურებს: „რასაც სხვას უკივიებ, თვით უნდა ჩაიდინო ის: როგორც ვთქვით, ბ-ნ კოლხიდელოს ერთი საბუთი არ მოუყვანია“. ამას ქვია ახირებული პატენტია. განა წარმოსადგენია, რომ გაზეთმა ერთი და იგი ფაქტები ერთი და იმავე საგნის შესახებ მრავალჯერ გაიმართოს! „კვალში“ შარშან იხეკდებოდა სტატიები ბელო და გერმანიის შესახებ („მეცნიერება და მიცნიერები“) წელს საფრანგეთის შესახებ („ცხოვრება და მეცნიერება“ რომლებშიაც იყო ვრცელი ცნობები (სტატისტიკური სხვა) და ამნაირათ „კვალი“ ფაქტებით (და არა ფრაზებ ბ.ბ. „პუბლიცისტი“ და Spectator-ო!) ამტკიცებდა აზრს, რომელიც გამოთქმულია ბ-ნი რ.-ს წერილში.

ახლა დავეკითხები ბ-ნ Spectator-ს: თუ მართლ ფრაზების გარდა სხვა სერიოზული იარაღითაც შეგიძლია თქვენ კამათი, მაშინ რატომ არ დამტკიცეთ უვარგისობა საბუთებისა და უსაფუძვლობა იმ აზრებისა, რომელნიც ივენ მოყვანილი „კვალის“ ზემოხსენებულ სტატიებში? იხით, „დამტკიცდა“, „გამომქლავდა“, რომ ეს და ეს მოძღვრება ქვეშარტებას მოკლებულია და როდესაც საბუთე წარმოგიდგენნარ—ჩვეთ „съ ученымъ видомъ знато хранить молчаніе въ важномъ спорѣ“ და შემდეგ... ის ფრაზებს მიყოფთ ხელს. ეს კი ღირსებაა—გაზეთის ტიპი მუშისათვის... შეგიძლიათ მხოლოდ იმახით „დამტკიცდა“ „გამომქლავდა“, მაგრამ რისიმე დამტკიცება კი...

დ. კ.

სხვა-და-სხვა ამბები.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს საერთო სურათს თვითსის საქალაქო არჩევნებისას ეროვნების მიხედვით:

	ამომრჩეველთა რაოდენობა		რამდენი ხმოს ნი აირჩიეს	
	რიცხვი	%	რიცხვი	%
რუსი	677	20,6	10	12
ქართველი	524	15,9	15	18
სომეხი	1945	59,1	53	66
გერმანელი	95	2,8	1	1
თათარი	53	1,6	1	1

ქიათურიდან გვწერენ: აქაურ საავათყოფოში 8-საათზე მისული ავათყოფი ხშირათ იძულებულია თითქმის

*) იხ. „კვალი“ № 43.

12—1 საათამდე იცადოს და თუ რამე უკმაყოფილება გამო-
 აცხადა, მაშინ ფერმლეები კაი-კაის შეუკურთხებენ ხოლმე მას.
 როდის-როდის ძლიერ ეღიროს ექიმის მობრძანებას... რაც
 შეეხება ზედამხედველს საავთმყოფოსას, ის ობრახუშს ათე-
 სინებს საავთმყოფოს მოსამსახურეებს, რის გამოც მწოლია-
 რე ავთმყოფთ სული ხდებათ უბატრონობით.

კვირას, 20 ოქტომბერს, ქუთაისში ქართ. დრამატიულ
 დასმა, ე. მეს ხიშვილის გამგეობით წარმოადგინა პირ-
 ველათ ახალი პიესა, „ცქრიალა სიუზანა“, 5 მოქ. დრამა,
 თარგ. რცხილაძისა. ეს წარმოდგენა საყურადღებო იყო იმიო,
 რომ მასში სხვათა შორის მონაწილეობას იღებდა ჩვენი ნი-
 ქიერი არტისტის ალ. მესხიშვილის 7 წლის შვილი, რომელ-
 ძაც დიდით გაანცვიფრა მაყურებლები თავისი მოხდენილი
 თამაშით და ყველას დიდი იმედები აღუძრა, რომ ჩვენი სცე-
 ნის დამამშვენებელ არტისტს ღირსეული მემკვიდრე დარჩება
 ქართული თეატრის სანუგეშოთ.

ზუგდიდიდან: 31 ოქტომბერს იხსნება ზუგდიდში ქალ-
 თა ორ-კლასიანი სამასწავლებლო სკოლა, რომელსაც პრინ-
 ცესსა სალომე დავითის ასულმა მიურატმა 40,000 მანეთის
 ქონება შესწირა.

ოთხშაბათს, ოქტომბრის 16-სა, მოხდნენ მსაკუთრებულ
 საბჭოს კრება გუბერნიის წინამძღოლის თავ. დ. ხ. მელიქი-
 შვილის თავმჯდომარეობით. საბჭოს, მინდობილი აქვს, სხვათა
 შორის, ეგრეთ წოდებული საგანგებო (ექსტრ. რდინალურ)
 მანხის განაწილება. საბჭომ სათავადაზნაურთა სკოლის შე-
 ნობისათვის გადასდო იანვრამდინ, როდესაც თავადაზნაურო-
 ბის ჩვეულებრივი კრება მოხდება, 12,000 მან.; ახალციხის
 სკოლისათვის 500 მან., კარდნახის წიგნთ-საცავისათვის, 150 მ.;
 ამკურნალო საზოგადოებისათვის—სახალხო წიგნაკებას ადგი-
 ლობრივ ენებზე დასაბეჭდათ—300 მ. ქრ-კერვის სკოლისათ-
 ვის—600 მ. ბოლოს საბჭომ, გრ. დიისამიდის წინადადებით,
 ერთხმით გადასწყვიტა ჯერ-ჯერობით წრეულს ძველ ისტო-
 რიულ ხელ-ნაწერების და საბუთების დასაბეჭდათ გადასდოს
 1000 მ. ამ საგნის შესახებ საბჭო შეეკითხა „წერა-კითხვის
 საზოგადოების“ გამგეობას, რა და რა ხელ-ნაწერების დაბეჭ-
 და არის ამ ხანათ საქიროო.

სახარხნო ინსპექტორის ზედამხედველობა ქალაქის საყას-
 ბისაც შეეხება. ინსპექტორს მიუწერია ქალაქის გამგეობისათ-
 ვის: საყასბოში განცხადება გამოაკარით, რომ იქ მოსამსა-
 კრეთ თუ რამ საჩივარი აქვთ გამოისაცხადებელი, შეუძლიათ
 მს ბინაზე მოვიდნ და იქ გამოძიებადონო.

თორმეტ კაცისაგან შემდგარ კომისიის უკვე დაუსრულებ-
 ბია რევიზია ხელოსანთა გამგეობის საქმეებზე. როგორც კო-
 მისიის მოხსენებიდანა სჩანს, ბ-ნ სერობიანცის დროს დაუ-
 ხარჯნიათ. სხვათა შორის, 925 მან. 53 კაპ., რომელშიაც
 შემოწირული ფული 50 მან., ჯარიმებისა—360 მან.,
 საზოგადოების სახლის ასაშენებელ (შემოწირულობა)—194
 მან., პუშკინის ძეგლისათვის 238 მან. 2 კაპ. ეს ფული,
 კომისიის აზრით, სერობიანცს არავითარ შემთხვევაში არ
 უნდა დაეხარჯა, რადგანაც თავისი სპეციალური დანიშნუ-
 ზის ქონდა და ხელოსანთა გამგეობის საქიროებებს არ უნდა
 მოხმარებოდა. ამას გარდა, სერობიანცს ჯერაც არ დაუბრუ-
 ნებია იმის მიერ წადებული 83 მან. 33 კაპ. ფულის უწყს-
 რიგოთ დახარჯვასა და 1896 წლიდან დაწყებული დღევანდ-
 ლამდე ხარკების დარჩენას ხელოსანებზე კომისია აწერს ყო-

ფილ მოურავის სერობიანცის უსაქმურობასა და დაუდევრო-
 ბას. ახლო მომავალში მოხდება ხელოსანთა უსტაბილურობის
 და დეპუტატების კრება, რომელსაც განსახილველად წარედ-
 გინება სარევიზიო კომისიის მოხსენება. როგორც უკვე
 სერობიანცი დღევანდლამდე არ ეკარება ხელოსანთა ახალ
 მოურავს, რომ ჩააბაროს საქმეები და საზოგადოების ფული.

კორესპონდენციები.

ბათუმი. ბ. თომის საჭეს 14 ოქტომბრას მორავი კრე-
 ბა გაიხსნა ქალაქის თავის ბ-ნ ანდრეასკაქალას თავმჯდომარეო-
 ბით. სანამ მორავი საქმეების განხილვას შეუდგებოდეს, ქალაქის
 თავმა მოკლეოთ დაასურათა ახლათ გარდაცვალებულ ხმოსნის დევეს
 მკვლეაქალას მოღვაწეობას ქალაქის საბჭოში და წინადადება მის-
 ცა ხმოსნებს გარდაცვალებულსათვის ზეტაჲი ეცათ წამოადგომათ.
 ხმოსნებმა და აგრეთვე მაყურებლებმაც სამაგალითო ხმოსნის ხსოვ-
 ნას წამოადგომით ზეტაჲი სცეს.

შემდეგ ამას შეუდგენ მორავი საქმეების განხილვას. პირ-
 ველი კითხვა შეეხებოდა ქალაქის ყოფილ ბუზგალტერის რადვალო-
 ვიის თხოვნას. როგორც მკითხველებმა იცინ, ბ-ნი რადვილოვი-
 ნი თხოვდა გაშვებას—საბჭოს მოახსენეთ ჩემი ხანგრძლივი და
 სინდისიერა სამსახური ქალაქის ბუზგალტერის თანამდებობაშიო.
 გაშვებას გადაწყვიტა ბ-ნ რადვილოვიის 2,200 მანეთით დაჯილ-
 დობა, ე. ი. დაჯილდობა იმდენით, რამდენსაც რადვალოვინი
 წლაურათ ჯამგირს იღებდა. ხმოსანმა გრაქესკიმ ამ სკაითხის
 შესახებ თქვა, რომ ზეტაჲიველი რადვილოვიის თხოვნისაგან
 სრულათ არ ჩანს, რომ ვითომ ის ფულით დაჯილდობას თხოუ-
 ლობდეს ჩვენ რომ მას ფული შეკადლოთ, ჩემი აზრით, ის ამას
 შეურაცხყოფათ ჩათვლისო. ბ. რადვილოვიის კარკათ მოქსენებს ქა-
 ლაქის კასისათ ვითარება და ამიტომ ის ფულით დაჯილდოებას არ
 მოითხოვდაო. ამას გარდა, ბ-ნი რადვილოვინი ამ ჟამათ ისეთ სამ-
 სხურში იმყოფება, რომელიც მას რამდენიმე თანხს აძლევს ჯამ-
 გირათ, ის სავსებით უზრუნველყოფილია; და რომ უადვილათ
 იქოს, გაკავრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, მაშინ, ჯო...
 თანხმად გასაღებოდი მანა ფულით დაჯილდოებისა. შეიძლება სხვა-
 ნაირათ ვნეთ რადვილოვიის ზეტაჲი. თუ გსურთ დაჯილდობათ რომე-
 ლიმე ქუჩას მანა სხელიო. ქალაქის თავის მადგალიე—ბ-ნი
 ვოლსკი არ დაეთანხმა გრაქესკის აზრს. მან თქვა, რომ შეუძლე-
 ბელია რადვილოვიის სახელი რომელიმე ქუჩას ვუწოდოთ და
 მანა სურათი სამკვიდროთ საბჭოშიო. ამ გვართ დაჯილდოებენ
 ისეთ მოღვაწეებს, რომლებსაც რამე განსახდარული დავალი მი-
 უძღვით ქალაქის საქმეების წინაშე. რადვილოვიის კი ასეთი დავ-
 ლი არ გაუწევია ქალაქისათვის, ის ექო მხოლოთ ქალაქის ბუზ-
 გალტერი და სინდისიერათ, ზეტაჲისათ ასრულებდა 10 წლის გან-
 მავლობაში თავის მოვალეობას. აი, ამ ზეტაჲისური ხანგრძლივი
 სამსახურისათვის გადაწყვიტა გაშვებაში, რომ მას 2200 მანეთი
 მიეცეს. ის სწორეთ რომ დარსია ამისო. ხმოსანი ქაქიმე სავსე-
 ბით დაეთანხმა ბ-ნ ვოლსკის მოსაზრებას და თავის მხრით დასძი-
 ნა: რა უფოთ, რომ ბ-ნი რადვილოვიანი 10.000 მანეთს აძლეს
 წლაურათ, ფულის მიღებაზე არავის უკვია უარი და მე დარწმუნე-
 ბული ვარ, არც რადვილოვიანი უარყოფს 2200 მანეთისო. ზოგაერ-
 თმა ხმოსნებმა მოითხოვეს, რომ გადაეცათ ეს სკაითხი და გაე-
 ცოთ კარკათ რადვილოვიისაგან: თხოულაბს ის ფულით დაჯილ-
 დობას, თუ არა. ბ-ნმა ვოლსკიმ განაცხადა, რომ მე დანამდვი-
 ებით ვიცი—რადვილოვიანი ფულით დაჯილდოებას თხოულაბსო.
 უმრავლესობით გადაწყდა, რომ ეს სკაითხი გადასდეს მამავალი
 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვამდე.

არ შეიძლია თრთოდე სიტუვა არ ვთქვა ბ-ნ რადვილოვიანის და-
 ჯილდოების შესახებ. მართალია, ხმოსანი ქაქიმის არ იქოს, ფუ-

ლი ისეთი რამ არის, რომ მას უარს არ უთქვამს და მათ უმეტეს ისეთ ხანაში, რომელშიც ჩვე ვცნობდით და ვიდრე, მით უმეტეს, თუ ფულით დაჯილდოება ისეთ კაცს შეეხება, როგორც ბ-ნი რადვილივიჩი ბრძანებულს. მე მესმის დაჯილდოება ისეთი კაცისა, რომელიც გაჭირვებულ მღვდელმთავრებსა, რომელიც საჭიროებს დახმარებას. რადვილივიჩი კი თანახმით იღებს ჯამაგირს და ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ არ ითაკილა თხოვნით მიემართა ქალაქის დარბაზს კასისათვის, იმ კასისათვის, რომელსაც აურაცხელი საჭიროება ქალაქის უსახსრობის გამო ვერ დაუკმაყოფილებია, — მიმტებით ფული, ჩემს 10.000 ჯამაგირს კიდევ დაუმატეთ ქალაქის ფული 2200 მანეთი! ჩვენ ვერც ის წარმოგვიდგენია, თუ გამგებმა რათ ხარჯავდა საბჭოში იმდენ ლამაზ-ლამაზ ნაბეჭებს რადვილივიჩის დაჯილდოების შესახებ. ამ დაჯილდოებამ გამგებამ, რომ ეს 2200 მანეთი რაიმე სხვა აუცილებელ საჭიროებას მოახმაროს, თუ გინდ ზარეულ დაწვებითი სკოლის გახსნას, ამით არც რადვილივიჩის დაუმტკვლელობა შეუძლებელი და არც ასობით დარჩებიან სკოლის გარეთ მათი შვილები...

შემდეგი საინტერესო კითხვა შეეხებოდა ექიმის ტრიანდაფილიდესისადმი მადლობის გამოცხადებას. ბ-ნი ტრიანდაფილიდესი ამ დრომდის განაკება ქალაქის საავთმეოფოს. როცა ქალაქმა ახალი საავთმეოფო ააგო, საქმისათვის სასარგებლოთ ცნო, რომ გამგეთ მოეწვიათ, სხვა ექიმა. ქალაქი ასე მოაქცა ექიმი ტრიანდაფილიდესი კი უფროსი ორდინატორათ დანიშნა. ეს იწინა უფილმა გამგემ საავთმეოფოსამ და უფროსი ორდინატორობაზე უარი განაცხადა. ეს გარემოება (რომ ექიმა ტრიანდაფილიდესი საავთმეოფოს გამგეთ არ დანიშნეს) ხელზე დაიხვია ცნობილმა ზღმამ და მოინდომა ამ საქმისაკან რაღაც დიდი რამეს შექმნა. ბ-ნი ტრიანდაფილიდესი შეიქნა ზღმის სათავეებზელი არსება. აი, აქედან ნათლათ მტკიცდება, თუ ვინ უფილმა ბ-ნი ტრიანდაფილიდესი. — მათხარი — ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინა ხარ შენო, — ამბობს ანდაზა, ბ-ნმა ტრიანდაფილიდესმაც გაგვანო თავის ამხანაგათ ბ-ნი ზღმა და ამით გვითხრა, თუ ვინ ბრძანდება თვითონ. ტრიანდაფილეს მომხრეები აღმოუჩნდნენ შედგინეს განცხადება, მაწერიეს ხელი 16 ხომალს — ტრიანდაფილიდეს მადლობა გამოუცხადოთ და წარუდგინეს ეს წინადადება საბჭოს. საბჭომ ხმის უმეტესობით, 15 ხმით წინააღმდეგ 11-სა, უარყო ტრიანდაფილიდესისადმი მადლობის გამოცხადება. და ამით საბჭომ დაგმო აგრეთვე ბ-ნი ტრიანდაფილიდესის წინანდელი სამსახური საავთმეოფოს გამგის თანამდებობაზე.

იშვითათ მოიხრევა ბათომში ისეთი მცნობები, რომელმაც ბათუმის ქუჩების სახელი იცოდეს. თუ ვინმე შეგვიითხროდათ — მასწავლეთ ესა და ეს კაცი სად ცხოვრობს — ასე უნდა გესწავლეთ ბინათ: გაყევით ზირდაზირ, შეგვდებათ ერთი მალაღი სახელი, მეტრე მოუხვიეთ მარჯვნივ, ნახვით ამა და ამის მალაზიას და აი, იმ მალაზიის ზირდაზირ ცხოვრობს, ვისაც ეძებთ. რასაკვირველია ამით ვერაფერს გააკებინებდით უცხო კაცს. არც ერთ ბათუმის ქუჩაზე ქუჩის სახელი არ აწერია სახლებს, ან და თუ აწერია — ათასში ერთს. ქალაქის გამგებმა შეუდგენა ზრთექტი სახლების ნუმერაციისა და ეს ზრთექტი დაამტკიცა საბჭომ. მადლობა დიერთს, — აწი მაინც გვეცოდინება ბათომლებს ბათომის ქუჩის სახელები.

და ზოგიერთი ქუჩები კი ისეთი უფილმა ბათომში, რომელსაც არც სახელი აქვთ და არც გვარი და ზოგიერთები კი ისეთი უფილმა, რომლებსაც სამი სახელი აქვს ერთათ, თუმცა, როგორც ვთქვი, არც უსახელო ქუჩის სახელი იცინა ბათუმელებმა და არც ისეთი ქუჩებისა, რომლებსაც სამი სახელი რქმევია. გამგებამ წინადადება მისცა ხომალსებს ამოეჩიათ კომისია ქუჩებისათვის სახელების დასარქმევათ. საბჭომ ეს საქმე მიანდო ამშენებელ კომისიას და გამგებმა.

იჩილაგვი. 10 ოქტომბერს რეინის თეატრში ბათომის ქართული სცენის და სიმღერის მეგობრთა ამხანაგობამ წარმოდგენა გამართა. წარმოდგენის ა. ცაგარლის სამი მსახივრობისა — დრამა „კულჩავარ“, წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი და ქ-ნი მდივანი. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო. საზოგადოთ წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. ხსენებულ ამხანაგობას გადაუწყვეტია თვეში ორჯელ დადგას წარმოდგენა ბათომში და ეთველთვის მესხიშვილის მონაწილეობით. კეთილი აზრია. ვუსურვებთ ამ ამხანაგობას, რომ ფურთუტა ზეილები არ დაეღვას და იმასაც ვუსურვებთ, რომ ბილეთის ფასები დაეწიოს. ამით ამხანაგობაც მოიკებს და მუშა ხალხიც, რომელიც დიდი სიამოვნებით დადის თეატრში, თუ რომ ბილეთების ფასი დაეწეულია.

კატო.

დიდი ჯიხანიში. მართლაც, წლეგანდელი სიმინდის მოსავალი შარშანდელი მოუსავლობას კარგათ დაფარავს, მაგრამ არაან კარგა ძალი ისეთი, რომელთაც შარშან ნახესხევი სიმინდი წელს ერთი ორათ უნდა გადაიხადონ და ამის გამო წლეგანდელი სარჩო კიდევ არ ეყოფათ.

სამი წლეწიდან, რაც აქ ვენახების ახლათ მოშენება დაიწეს, მაგრამ წლეგანდელმა გაზოფულის ეინებმა ისე დასრუტა ეს ახალ-შენი, რომ ზოგს ბარდიც არ შეარჩინა. საბაღას ადგილები სოფლათ თან დღემ მტირდება. ოთხ-თუხი ცხოველების მოშენება თან და თან კლეტუფობს და საჭირო მოთხოვნილებანი კი, გლეს თან და თან უორკეცდება.

დაიწყო რეველი და სოფლის ჩარხებიც ამოქრადნენ. ქუჩებში საწვრალიმანო „კარკების“ ასაკებათ მასალის მზადება დაიწეს. მათ მოაკონდათ სიმინდის ტაროზე შარშანდელა ვაჭრობის გეოლ, მაგრამ მათდა საუბედუროთ ამ გვარი ვაჭრობა მოაკრობამ წელს სასტიკათ ადვრდალა. დაღიან საწელები დაღობეს კლნი, თუმცა, რასაკვირველია, ამა თუ იმ საშუალებით ისინი თავისას მაინც გაიტანენ...

დიდი-ჯიხანიშის სამკითხველს საქმეები ჯერ-ჯერობით კარგათ მიდის, თუმცა ბიბლიოთეკისთვის საკუთარი შენობის უქონლობა ძლიერ გვაწუხებს. აქური ინტელიგენცია საჭიროთ ცნობს აქ სახალხო სახლი აშენდეს, სადაც ბიბლიოთეკა და საკვიროთ სკოლაც მოათავსდება. ვნახოთ როგორ განხორციელდება ეს საჭიროება...

აქური ორ კლასიანი სასწავლებელი ბავშვებს ძლივს იტევს და საქალებო სკოლაში მეორე მასწავლებელი ქალი უკვე მოწვეულია.

თუმცა ეწერის საზოგადოება ამ ბოლო დროს სწავლა-განათლებლით სხვა დაწინაურებულ საზოგადოებას დიდათ არ ჩამორჩება (აქ არსებობს სამი სკოლა — ერთი სამრევლო, ორი სამინისტრო, ორივე ორ-კლასიანათ გადაკეთებულნი, სადაც 250-დე ბავშვები სწავლობენ) შედგება 1000-დე კომლი მცხოვრებლებსაკან და წერაკითხვის მცოდნესაც აქ ხშირათ შესვდებით, მაგრამ ეს საზოგადოება ბიბლიოთეკა სამკითხველს სრულიათ მოკლებულია; იმედია, აქური შეგნებული ზირები ამ გარემოებას უუურადდებოთ არ დატოვებენ.

ბ. გელახანია.

აშუთიანი. როგორც ვიცით ქალაქის გამგებობის წევროთ არჩეულია ბ. დ. მდივანი მთავრობამ ხსენებულ თანამდებობაზე არ დაამტკიცა. და საბჭოც იმულებული შეიქნა ხელ-ახალი არჩევნები დაენიშნა.

16 ოქტომბრის საბჭოს არა-ჩვეუე ებროვი სსდომამ ხომალსთა უმრავლესობის თხოვნით გადადებულ იქნა 19 ოქტომბრისთვის. ხსენებულ უმრავლესობამ მიზეზათ დირსეულ კანდიდატის

უფლებას ასახელებდა; უმცირესობა კი გადადების წინააღმდეგი იყო, რადგანაც, მისი აზრით, თუ საბჭო დროზე არ ამოიწვევდა წევრს, ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, რომ მას თვით მთავრობა დანიშნავდა. 19 ოქტომბრის კრებას 39 სმოსანი დაესწრა. სმოსანმა ა. ნსეიშვილმა საბჭოს, სსსმ ანკეები დაიწვებოდა, თავის სჯუთარი აზრი წარუდგინა განსახილველად ამის შესახებ, თუ ბ. მდივანი რათ არ იქნა დამტკიცებული გუბერნატორის მიერ? მაგრამ საბჭომ უხერხულად დაინახა მისი განხილვა, და ამიტომ შემდეგისთვის გადადო. წამოყენებულ იქნა ბ. ჯღიბაძის (სულაბით აგრანომია) და ბ. ვ. კანდელაკის (ეს ის კანდელაკია, რომელმაც ამას წინათ მდივნის თანამდებობაზე ჯერ თანხმობა განაცხადა და როდესაც ამოიწვიეს და ჯამაგირი 1,200 მანეთით განუსაზღვრეს უარი შემოთავაზდა) კანდიდატურა. ორივე გაეთიხრდა. პირველმა მიიღო 23 თ. და 16 შავი, მეორემ 20 თ. და 19 შავი.

18 ოქტომბერს ერთი მეტათ შემადგენელი შემთხვევა მოხდა. აი საქმე რაშია: ზემოხსენებულ დღეს ქაჯაქის გამგეობის მიერ დაქირავებული 8 მუშა, ინკესურ ჯორჯაძის ზედამხედველობით „კაზარმის“ გასწვრივ ქვის გალანის კედელსა და თხრილს აწვრთბდა. დიდი წვიმების დროს ეს თხრილი იკუმშებოდა მიმდინარე წყლით, რომელიც ნელ-ნელა უთხრიადა მიწის ქვის კედელს რომელსაც სიმძლვე ერთ სარკინოვან კედელს ქონდა. ამ გამორეცხილ კედლის მიწში მუშაობდა, რაგორც ზემოთ ვიქვით, 18 ოქტომბერს რვა მუშა; მუშაობის დროს 7—8 საუკუნის სიგრძეზე გალანის კედელი ჩამოიქცა და ქვეშ მოიფლავა მომუშავენი. მათ შორის ორი იქვე გამოესაღმა წუთი-სოფელს, ოთხი ჰიმიტ დაიჭრა; ამათში, ამბობენ, ორი არ გადაარჩება; ორმა კი აკავს უშუქლა. ბ. ჯორჯაძე, რაგორც ქაჯაქის წინაშე ხასუხის მგებელი, ამის შესახებ, რა თქმა უნდა, ქაჯაქის გამგეობას აცნობებდა, და გვიგირის რატომ არაფერი მთავსებს ამ უკანასკნელმა საბჭოს, თუმცა მანაც კარგათ იცნოდა ეს სამუშაო შემთხვევა, მაგრამ ეტყობათ ჩვენს „მაშობა“ კარგათ იცნან, თუ როდის და სად უნდა გახუშება, ან სად არის საჭირო ეფირილი...

Parole.

სახლვან-გარეთ.

ინგლისი. ინგლისის ქალაქები ცდილობენ, რომ საქალაქო მეურნეობის ყოველი საქმე, მაგალითათ განათლება, ხორცილთა და პურით ვაჭრობა, ტრამვაიები და მრავალი სხვა საქმე კერძო ვაჭრებსა და კაპიტალისტებს აღარ მისცენ და თითონ აწარმოონ. ვაჭრებსა და კაპიტალისტებს, რასაკვირველია, ქალაქების თვით-მმართველობის ასეთი მოქმედება კუკუში არ მოსდით, ამიტომ კაპიტალისტების მოსარჩლე გახეთს „ტაიმს“-ს ამ ბოლოს დრო ნამდვილი ომი გამოუცხადებია „მუნიციპალურ სოციალიზმისთვის“. ლიბერალურ გახეთმა „დეილი ნიუს“-მა ამის თაობაზე საინტერესო წერილი დაბეჭდა და გამოააშკარავა, თუ ნამდვილათ რა ალაპარაკებს „ტაიმს“-საო. „დეილი ნიუს“-ის სიტყვით, „ტაიმს“-მა ეს ლაშქრობა ერთის საელექტრონო ტრესტის ჩაგონებით გამართა. ეს ტრესტი ინგლისელ და ამერიკელ კაპიტალისტებს ეკუთვნის; პირობატ მორგანიც დახმარებას უწევსო. ამ ტრესტმა ნელ-ნელა ლამის მთელის ინგლისის სამეფოს საელექტრონო საქმეები ხელში ჩაიგდოს, ინგლისის პარლამენტისაგან კონცესია აიღო და ქალაქების ელექტრონით განათება და ელექტრონული ტრამვაიების გამართვა ხელში ჩაიგდო. ტრესტს „ინგლისის საელექტრონო მოძრაობის ამხანაგობის“ გამგე ემილ გარკე მეთაურობს. ამავე დროს გარკე

40 სხვა ამხანაგობაშიაცაა დირექტორათ. ტრესტს ესთის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების აზრსა და ამიტომ მხნეთ შეუდგა თავისთვის სასარგებლო აზრები, წყვეტს მუშაობას: საქალაქო მეურნეობის გაძლიერება შეუძლებელი იქნება ხალხისათვის, ისევე ის სჯობია, რომ ყველა საქმეები წინანდებურათ კაპიტალისტების ხელში იყოსო. სხვათა შორის, ტრესტმა ამ აზრით „სამრეწველო თავისუფლების“ დამცველი ლიგა დაარსა. ამ ლიგას ის დანიშნულება აქვს, რომ „კერძო პირების“ მხნეობა და თაოსნობა ქალაქების მეტოქეობისაგან დაიხსნას; ქალაქების მოცილეობა იმითაა საშიში, რომ ქალაქები თავიანთ საქმეებს ხალხის ფულით აწარმოებენო. ამას გარდა, ლიგა ეცდება, რომ მრეწველობის საქმეებში გარეშე პირები არ ერეოდნენ. ამ ლიგის საბჭოს წევრთაგან ათზე მეტი კაცი ამავე დროს „ინგლისის საელექტრონო მოძრაობის ამხანაგობაშიაც“ იღებს მონაწილეობას. იმ აზრით, რომ გახეთების შემწეობით საზოგადოებაც თავის მხარეს გადებიროს, ტრესტმა „ტაიმს“-ის გამოცემული ბელიც თავის ლიგის წევრათ გაიხადა. „ტაიმს“-მა ცდილის სტუმართ-მოყვარეობით თავისი ფურცლები დაუთმო ტრესტსა ყოველნაირ მოხსენებისა, წერილებისა და სტატიებისათვის. ყველა ეს წერილები სულ საქალაქო მეურნეობის წინააღმდეგ იწერება. ეს მესამე თვეა, რაც „ტაიმს“-ში მრავალი უსახელო წერილი იბეჭდება „მუნიციპალურ სოციალიზმის“ წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ „ინგლისურ ენციკლოპედიას“ დამატებაში წერილი საელექტრონო საქმეთა განვითარებაზე დაუწერია... ემილ გარკეს. გარკე, სხვათა შორის, ამტკიცებს, რომ კაპიტალისტებს უფრო კარგათ მიჰყავთ საქმე, სანამ ქალაქებსა. ეს კიდევ არა კმარა. პატარა გახეთების მოსამხრობათ ტრესტმა თითქმის ქრთამიც კი დახარჯა. „დეილი ნიუს“-ი აცხადებს, ერთმა ტრესტის მოსამსახურემ წერილი მიწერა ერთს პროვინციულ გახეთს და წინადადება მისცა მუნიციპალურ სოციალიზმზე წერილი დაბეჭდეთ და სტრიქონში რვა-რვა კაპეის მოგცემთო. ამ წერილის პირი „დეილი ნიუს“-ის რედაქციას ხელში ჩაუგდია. „დეილი ნიუს“-ი პირობას იძლევა, კიდევ სხვა ამბებსაც გამოვაშკარავებო.

საზრანგეთი. პალატამ 418 ხმის უმეტესებით 95 წინააღმდეგ რეზოლუცია დაადგინა: პალატა წინადადებას აძლევს მთავრობას, თავისის გავლენით ისარგებლოს და მუშებსა ცაც და ქვა-ნახშირის მრეწველთა ამხანაგობებსაც ძალა დაატანოს, რომ თავიანთ დავის გადაწყვეტა სამედიატორო მოსამართლეებს მიანდონ. ამავე დროს პალატა სთანხმდება აბატ ლემირის წინადადებას, რომ შრომის სამუდამო საბჭოები დაწესდესო.

პალატის დადგენილების თანახმად, კომბმა მაშინვე შეუთვალა მუშებსა და მრეწველებს, შუამავლობას გაგიწევთ და მოგარიგებთო. პალატის სხდომის მეორე დღეს პირველმა მინისტრმა მადნის მუშების ეროვნულ კავშირის წარმომადგენლები მიიწვია და ორი საათი ელაპარაკა. მუშების წარმომადგენლები დასთანხმდნენ სამედიატორო სამართალს.

შეპირიებული შტატები. მადნის მუშებისა და მადნის პატრონების დავის გადასაწყვეტად არჩეულ კომისიას პირველი სხდომა 15 ოქტომბერს ქინია. „ტაიმს“-ს სწერენ ვაშინგტონიდან: «კომისიაში მადნის პატრონების ინტერესებს იმათი ასოციაციის თავჯდომარე ბერი იცავს, მუშებისას—მიჩელი. კომისიამ ჯერ მუშების საჩივარი მოისმინა და მერე დაადგინა ქვა-ნახშირის მადნები ადგილობრივ ვნახოთა და ჩვენ თითონ დაწვრილებით გამოვიძიოთ, თუ რა ყოფაში არიან მუშები, რა ქირას იღებენ და რა ცხოვრება აქვთ იმათ ცოლ-შვილსაო.

კომისიას განზრახვა აქვს აგრეთვე, რომ გაიგოს, რა ჯდება ქვა-ნ. ხშირი და რა ფასში იყიდება.

ავსტრია-უნგრეთი. „ნოიე ფრაიე პრესე“-ს ღებებით ატყობინებენ ლეოვიდან: გალიციაში ეხლა კარტოფილსა თხრიან. დაიწყეს თუ არა კარტოფილის თხრა, სოფლის მკ-შებიც ისევ გაიფიცნენ და სამუშაოდ არ მიდიანო.

რუსეთის ცხოვრება.

კიევის გუბერნიის სოფელ კონახევში გლეხებმა სასტაჟად დასაჯეს თავიანთივე სოფელის ქურდები. განზრახულებმა სხვებმა დაიჭირა ქურდები და ტყვე დაუწყო. სამი მოჭკეს, ორი კიდე მძიმედ დასაჯეს.

შვათსეულებმა უკვე იცინ, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარდგინა ზრდაეტი დედათა უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისა. ზრდაეტი სწავლის კურსი ამ ინსტიტუტში სამის წლისა უნდა იყოს. ინსტიტუტმა უნდა მოამზადოს სასწავლო მუშაუნი და მასწავლებლები საშუალო და დაბალ სამეურნეო სკოლებისათვის.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კანონიამ გამოსცა ცნობები წლეკანდელ მოსავლის შესახებ. განყოფილებას ამ საქმისათვის 8 ათას კორესზანდენტის მიერ გაზრახვილ ცნობებით უსარგებლბია. ცნობები ვერაზის რუსეთს შეეცება. სულ წელს შემოსულა: ჭვავი—1.346,657 ათასი ფუთი, ჰური—808,723 ათასი ფუთი, შვრია—776,349 ათასი ფუთი, ქერი—396,499 ათასი ფუთი და ფეტვი—156,585 ათასი ფუთი. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, წლეკანდელი მოსავალი საშუალოზე დიდია.

მონოლოგი

(სიკენტინსკიდან)

აქტრისა, სულ აქტრისა!.. ეკლესიაში დედა ჩემის კუბო ესვენა. თქვენ თვალბში, თქვენი სახის გამომეტყველებაში, თქვენ სიჩქარეში, როცა გზა დამიცალეთ, მე ნათლათ დავინახე, რომ თქვენ იქ შეიკრიბენით არა მიცვალებულისათვის, არამედ ჩემთვის. საზოგადოებამ თავი მოიყარა, რომ დავინახა, ოუ როგორ ჩავატარებდი მე თავ-განწირული ადამიანის როლს დედი ჩემის ცხედართან... ოჰ, მე ვეცდები, ძალიან ვეცდები, რაც შეიძლება კარგათ შევასრულო ის, თორემ თქვენ დამძრახავთ... თქვენ მე ეკლესიიდანაც ისე გამდევნით, როგორც თეატრიდან მდევნით ხოლმე ცუდ აქტრისას. და მე უცდიდი, თუ როდის ატყდებოდა ტაშის გრიალი, თუ როდის დამიცვივდებოდნენ წინ ცხედრის მისართმევი გვირგვინები.

კრემლებმა იცვალეს გზა, ისინი ჩამოშორდნენ წამწამებს და, ლოყების მაგიერ, შიგ გულის სიღრმეში დაიწყეს წვეთ-წვეთათ ცემა. მე მინდოდა ჩუმათ გულში მელოცა... ჰო, დამავიწყდა ჩემი როლი, სანთლის მკრთალი სხივი სულ ფართოდებოდა და ფართოდებოდა ჩემ თვალში, ხოლო საზოგადოების ჩურჩული გარკვევით და მკაფიოთ მესმოდა... ვილაკამ ხელი მომცა, თვალთ დამიბეჯდა, გრძობა დავკარგე, წავბარბაცდი და... როცა ეკლესიიდან გამოვქონდით, მაშინ ყურში ჩამესმა კუბოს ყრუ ხმა, —თითქოს კვნესოდა იგი —ეს კუბოს ჭედდენ.

— ოჰ, დედილო, დედილო!

— აი, სწორეთ აქტრისა! გაისმა ხალხში და ყველა მე

მომამტერდა, თითქოს მადლობას მეუბნებოდა კარგათ ჩატრებული სცენისათვის.


ეს რატომ? რატომ მიმადლით? განა აქტრისა მტრად არ არის? ასული არ არის? ცოლი არ არის? ანაწილდა მსახიობი, რომელიც გრძობს? მაშ თვალთ-მაქცია და მეტი არაფერი? ოჰ, ადამიანებო, ადამიანებო, ან თქვენ ცდებით და ან...

არა, ეხლა მე მესმის რაშია საქმე... ჩემი გული—ეს ვეებერთელა სცენაა, ხოლო ნერვები და კუნთები უბრალო, მორჩილი მსახიობები. თქვენთვის ჩემი სისხლი,—ეს წყალნარევი ღვინოა, რომლის დაღვრა რამდენიც გასურთ, იმდენი შეგიძლიათ.—ის მე ხომ ასე იათათ მიღირს,—ხოლო ჩემი სიცოცხლე კი უბრალო თეატრალური პიესაა, რომელიც დიდიდან საღამომდე უნდა ვითამაშო თქვენთვის, ჩემში არაფერი არ არის ჩემი. თქვენ შექენით ჩემი გული გრძობათათ თეატრათ, დასქერით ის ნაკუწ-ნაკუწათ და ყვირით: „მაგას გული არა აქვს, არც სიყვარულს, არც სიძულვილს მაგ არა გრძობს ისე, როგორც ჩვენ; მაგ ერთნაირათ წარმოადგენს ყველა გრძობებს“.

წარმოადგენს! რაა წარმოადგენს?.. ადამიანებს? მაგრამ მე ხომ ყოველთვის „მე“ ვარ და სხვა არასოდეს არ ვიქნები!.. გრძობებს? მაგრამ გრძობათათ „წარმოადგენა“ განა შეიძლება? ა-ა, თეატრი... ხელოვნება!.. თქვენ ცთებით!.. მე მოვიტანე თეატრში გრძობიერი ნერვები, ურომლისოთ არ შეიძლება არც გრძობა, არც გრძობათათ გამოთქმა. ჩემი ნერვები—ეს საიღუმელოებაა ჩემი ბუნებისა, შეყვარებულე—მე ანალიზს უკეთებ თვითონ სიყვარულს, ისე როგორც ტანჯული მიზებებს გიჩვენებ ტანჯვისას. თუ სიზმარში მე უცბათ კივილი ამომსკდა გულიდან და გამომეღვიძა, მაშინ ჩემ ხმას ვადარებ თეატრის რეზონანსის ხმას, რომელშიაც გუშინ ვითამაშე, ან ხვალ უნდა ვითამაშო, ვერავინ ვერ გაივლის ჩენ გვერდში, რომ მისი მოძრაობა ვერ შევნიშნო. არავის არ შეუძლია ატირება, გაცინება, ჩაფიქრება, რომ მე მისი სახის გამომეტყველება არ დავიხსომო, ვერავინ ვერ იტყვის ჩემთან სიტყვას, რომ მე არ დავიხსომო მისი ინტონაცია, სუნთქვა, სიღრმე ოხერისა... დიახ არავის... და, მიუხედავათ ამისა, ნუ ფიქრობთ რომ ვითამაშე აქტრისაში არ ქონდეს ლაგი დედაკაცს, შეიძლება მეც შემეძლო ბედნიერი ცხოვრება ისე, როგორც მრავალ თქვენგანს, შემეძლო ჩემი საკუთარი ქვეყანა შემექნა ოჯახის კერასთან, შემეძლო დავმეტყუარე ბავშვის უმანკო ღიმილით, მის აკვანზე ნანას სიღრეში გამეჭრო ჩემი გულის ტკივილი... მაგრამ ნუ, ნურას ვამბობთ ამაზე! რათ გავიღვიძო იარა... სიყვარული, სიძულვილი, ბედნიერება, სევდა, სიცილი, ტკივილი, კრემლები, ავთომყოფობა, სიკვდილი!.. ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ნუ თუ მე არა ვცხოვრობ ამაებით, ნუ თუ ესენი არ შეადგენენ ჩემ გრძობას, ე. ი. ჩემ სიცოცხლეს...

რომ რომელიმე ამათვანი სცენაზე სასურველათ წარმოადგინო, საქირთა ათასობით დაიხსნა და გამოსცადა ისინი ცხოვრებაში! თქვენ გგონიათ რომ ამავს მხოლოთ თქვენი ფულებსა და ქების გამო ჩავდივარ?!.. ხა, ხა, ხა!

თქვენ, თქვენ, ფედრა და დეზდემონა, ოფელია და მარიამ სტუარტ, მხოლოთ თქვენ უწყით თუ თქვენ სიხარულსა და გაჭირვებაში, ღიმილსა და კრემლებში რამდენი ურევია ჩემი საკუთარი სიხარული და გაჭირვება, ღიმილი და კრემლები!.. მაგრამ ამოთ გიწვევთ მოწმეებათ—თქვენ შეგიძლიათ მხოლოთ მე მიმიწვიოთ მოწამეთ და არა მე თქვენ... ჩემი გულის სისხლით გკვებავ მე თქვენ, ისინი კი ამბობენ, რომ თავს ვიკატუნებ, ჩემი სული შთაგბერეთ მე თქვენ, ისინი კი ამბობენ, რომ მე როლი შევისწავლე. მაგრამ როლ



ში ხომ გარეგანი სიკაცსლე არ არსებობს, არ არსებობს სული არ არსებობს სახის გამომეტყველება, მოძრაობა, ხმა! როლი—ეს ცხედარია, ცივი ქალღი სუდარაში გახვეული, რომლის ძარღვებში უნდა საკუთარი შენი სისხლი ჩასხა. უამისოთ თვითეული გმირი უბრალო დედოფალა იქნებოდა, რომელიც ლაპარაკობს და არა სულიერი ადამიანი, რომელიც ცოცხლობს. იმან რომ შეიძლოს სიკაცსლე და თქვენზედ შთაბეჭდილების მოხდენა, ამისთვის მე უნდა მივცე მას ჩემი საკუთარი სიკაცსლე. მაგრამ მივცე უნდა არა ნაწილ-ნაწილათ, არამედ სრულათ... მხოლოდ მაშინ დაინახავთ თქვენ როლში ცოცხალ ადამიანს, რომელიც არსებობს და არა მანქანას, რომელიც მხოლოდ ლაპარაკობს. თქვენ თვალში მე მხოლოდ სცენაზე ვარ, ელექტრონის სინათლე! ქვეშ, მორთული, შებოჭილი რომელიმე დრამის ინტრიგით. იქ მე თანამიგრძობთ, იქ დრტვინავთ იმ შეურაცხყოფის გამო, რომელიც ჩემთვის არავის მოუყენებია, იქ თქვენ თრთით ქაღალდის ხანჯლის დანახვაზე, რომელიც მე ვერ მომკლავს, იქ თვითეული ჩემი შეძახება, კვება, ოხვრა, ცრემლვებს იწვევს თქვენ თვალში. მაგრამ აბა ჩამოვიდე სცენიდან, ჩამოვირეცხო სახე, გავიხადო ტანზე და ვთქვა: „მე ვიტანჯები!“ მაშინ თქვენ თვალში არც ცრემლვები გამოჩნდება, არც თანამიგრძობა აღიძვრის თქვენ გულში—მაშინ უფსკრული იხსნება ჩვენ შუა. თუ მე დაძლეული შთაბეჭდილების მიერ გრძობა მორეული დავეცი, თქვენ იტყვიან, რომ კარგა შევასრულე როლი. თუ მინდა რომ ჩემი სიკვდილი საღათს ძილა არ ჩათვალოთ, მე მთელი მედიცინის ფაკულტეტი უნდა მოვიწვიო და ისე მოვკვდე—ისე ძნელია ჩემ გრძობათა სიწრფელეში დარწმუნება. თქვენ იცით, რომ თვითეული ქალის გულში უუქველათ მალავს თავს აქტრისა და ამიტომ არ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ აქტრისას გულის სიღრმეში ქალი იქნება. ცაბრმავეტულნი ამ აზრით თქვენ, როგორც ბავშვები, რომლებიც ჯერ ეთამაშებიან დედოფალს და შემდეგ კარში გაისვრიან,—შეუბრალებლათ მდევნით მე, სცენაზე და სცენის გარეშე, სახლში და კარში, გინდათ ჩამიძვრეთ გულში და, რადგანაც თქვენ ვერასოდეს ვერ პოულობთ ჩემი ნამდვილი გულის გასაღებს, ამტკიცებთ, რომ ვითომც, მე გრძობის ნატამადი არ მქონდეს.

ყველა ჩემ საქციელს თქვენ წინ და წინ შედგენილი აზრით ზომავთ. მე აქტრისა ვარ, მაშასადამე ჩემში ყველაფერი ყალბია... თვით ხელოვნებისადმი სიყვარულიც კი! როცა მე სავესებით მნთქავს როლი, საზიანოთ ჩემი ჯანმრთელობისა, როცა მე ნაკუწ-ნაკუწათ ვყრი თქვენ წინაშე ჩემ სიკაცსლეს, თქვენ ყვირით: „ეფექტიაო!“ როცა მე, როგორც მამულიშვილს, მამულის საკურთხეველზე მიმაქვს ჩემი ღონე, ე. ი. ჩემი თამაში, ჩემი საზოგადოებრივი ძალა, თქვენ ყვირით: „ეს რეკლამააო!“

მე ერთად ერთს ყველა ქალებში არა მაქვს უფლება თავის თავს ვეკუთვნოდე, არა მაქვს უფლება ის ავიკრძალოთ, რასაც სხვა ქალთან თქვენ თვითონ არ იკადრებთ. ჩემი სახელი თქვენ იგივე თეატრი გგონიათ, სადაც ყოველთვის შედიხართ... შეგიძლიათ ყოველი ოთახი დამითვალთქვით—საწოლი ოთახიდან სამზარეულომდე. ლოგინი ჩემი—ეს გარყვნილების საწოლია, ხოლო ჩემი ვახშამი—ორგია. ჩემ ჯიბეს ყოველ დღე სახალხოთ გადმოაბრუნებთ; ბრილიანტებს რომ დამინახავთ, პირდაპირ მეკითხებით, ყალბი ხო არ არიო და თუ ნამდვილია, ვისი ფულებით იყიდეთ. ყოველ ჩემს ნაბიჯს აღვენებთ თვალსა. თვითეული აქტიორი თქვენ ჩემი საყვარელი გგონიათ. ჩემს წარსულში თვენ გულ-მოდგინეთ ეძებთ შავ წერტილებს, რომ მით ჩემ აწმყოს ცხობ ჩირქი, ხოლო აწმყოს ბრწყინვალეობაში თქვენ მომავალის სიბნელე გსურთ

დაინახოთ: გაქალარავებულ თმას, ამოგლეჯილ უბოლ... თამაშობის დროს თქვენ ყველაფერს ნაკრათ მითვლით და მზათ ხართ ჩემი სიკაცსლით ისე დაამდაბლოთ ხელნაწილს, რომ გორც ხელოვნებით ამდაბლებთ ჩემ სიკაცსლეს... თქვენი აზრით თვითეული ახალგაზდა აქტრისა მტერია ჩემი და მეც იძულებული თითქო ვიყო მარტოთ და მხოლოთ იმის ახალგაზდობის გამო მოუხარო მე მას ქედი. ჩქარით თვითეული ჩემ მიერ გავლილი დღე დასწეროთ, თვითეულ ნაოქს ჩემ სახეზე გაუსვათ ხაზი, რომ მე არ მოვატყუო თავის თავი... ოჰ, არა, არა, მე არ მოვტყუვდები, მე ვიცი რაც მომელის!

ცხოვრებაშიც და სცენაზეც ჩემში ერთი და იგივე ადამიანი—იჯდა, ერთი და იგივე სისხლი მოძრაობდა. თვითეული საღამო სცენაზე მე მიღირდა თვითეულ დღეთ ცხოვრებაში და თვითეული დღე იყო მხოლოდ ნაბიჯი...

აგრე მარტო მსახიობი ილუპება!... დადგება დღე, როცა ჩემ განწირულ ხმაზე, კვენსასა და ცრემლებზე, რომელთაც თქვენ ადრე აგრე გულ მოდგინეთ უკრავდით ტაშსა, დადგება დღე, რომ თქვენ მხოლოდ მხარის აწყვით და მედიდური ღიმილით მიხატუხებთ... ნუ გეშინიათ... ვიდრე ის დღე დადგებოდეს მე დავანებებ თავს თამაშსა და... სიკაცსლესაც... როცა მე სცენიდან ჩამოვალ, იმავე წამს ისე გაეთხრება ჩემ სიკაცსლეს სამარე, როგორც ჩემს ხელოვნებას... მე წავალ...

სახელა სხვა დარგის მხატვარ-მსახიობთა თან და თან იზრდება და სიკვდილს შემდეგ საუკუნოებს ანათებს. ჩემი კიდლით დღე ბნელდება, ისინი, თუ თანამედროვეთ ვერ იცნეს, უკვდავებას მომავალში ელიან და პოულობენ კიდევცა. მე კი მომავალი ჩემი ტანჯვისა და შრომის სამაგიეროს დავიწყებით, სრული დავიწყებით გადამიხთის...

მაგრამ თქვენმა შეილებმა რო იცოდენ, თუ რა ვიყავი მე თქვენთვის ჩემ სიკაცსლეში, ისტორიკოსი, ჩასწერს რა ჩემ სახელს ხელოვნების მუშაკთა სიაში, იძულებული იქნება ფხილღებში შენიშნოს, თქვენი აზრით დამამცირებელი სიტყვები, რომ მე ვაყავი „აქტრისა!“

ბ. ლომთათიძე.

უსათაურო

(ა ჩეხოვისა)

მეხუთე საუკუნეშიაც ისე, როგორც ეხლა, დილაობით ყოველთვის ამოდიადა ხოლმე მზე და ყოველ საღამოს წვებოდა დასაძინებლათ. დილით, როდესაც მზის პირველი სხივები ხვეწნა-კოცნით ვალერსებოდენ ნამიან ბალახებს, დედამიწა ცოცხლდებოდა, ჰაერი სასიხარულო-საიმედო ხმებით იგებოდა; საღამობით კი იგივე დედამიწა მიდუმდებოდა და ჩაფლოდა მკაცრ წყვდიადში. დღე დღესა გავდა და ღამე ღამესა.

ხან და ხან შავი ღრუბლები გადაეფარებოდა ცას და გაისმოდა მენის გრიალი, ან ციდან ჩამოვარდებოდა მთვლემარე ვარსკვლავი, ან და—გამოიბრბენდა საწყალი ბერი და ეუბნებოდა „ძმობას“, რომ მონასტრიდან ცოტა მოშორებით ვეფხვი დავინახეთ—და მეტი არაფერი; სხვა დღე კიდევ დღეს გავდა და ღამე-ღამესა.

ბერები შრომობდენ და ვევედრებოდენ ღმერთს. მონასტრის წინამძღოლი ბერი კი უკრავდა ორგანოს, თხზავდა ლათინურ საგალობლებს და წერდა ნოტებს. საუცხოვო ნიჭის პატრონი იყო ეს მოხუცი. ის ისე კარგათ უკრავდა ორგა-

ნოს, რომ ღრმა მოხუცებული და სმენა დაჩლუნგებული ბე-
ბერიც კი ვერ იკავებდნენ ცრემლებს, როდესაც მოხუცის
ოთახიდან ორგანოს ხმა მოისმოდა. როდესაც ის სულ ჩვეუ-
ლებრივ რამეზე ლაპარაკობდა, — მაგალითათ ხეზე, მხეცებზე,
ან ზღვაზე, შეუძლებელი იყო მისი მოსმენა ისე, რომ ან
ლიმილი არ მოგსვლოდათ, ან ცრემლები არ გადმოგდენოდათ;
გეგონებოდათ იმის სულშიაც ისეთივე სიმებია გაბმული, რო-
გორიც ორგანოშია. და თუ ის რამეზე განრისხდებოდა ან
მეტათ მხიარული იყო, ან და საშინელ დიად რამეზე საუბ-
რობდა — მაშინ უცნაური გატაცება შეიპყრობდა მას, აბრია-
ლებულ თვალეზზე ცრემლი მოადგებოდა, სახეზე აღმოური
მოედებოდა, ხმა სასტიკათ, მეხივით უგრგინავდა და ამის
შემხედვარე ბერები გრძნობდნენ რაღაც გამოუჩვეველ სუ-
ლიერ გაშეშებას; ამგვარ დიად წუთებში მისი ძალა-უფლება
ზანუსაზღვრელი იყო; და თავისი ბერებისთვის რომ ებძანე-
ბია მას, ისკუბეთ და ზღვაში გადახტიოთ, ისინიც აღტაცე-
ბით და სწრაფათ ასრულებდნენ მის ბრძანებას.

მისი მუსიკა, ხმა, საგალობლები, რომლებითაც ის
უფალს, ცას და დედამიწას აღიდებდა, ბერებისთვის იყო და-
უშრეტელი წყარო სიხარულისა. მოხდებოდა ხოლმე, რომ
ერთფეროვანი ცხოვრება, მცენარეები, ყვავილები, გაზაფხუ-
ლი და შემოდგომა მობეზრდებოდა მათ; ზღვის ღელვის
გრგვინვა უღალავდა მათ სმენას, ფრინველები ჭიკჭიკ-გალო-
ბაც აუტანელი ხდებოდა მათთვის, მარა ნიჭიერება და ქცევა
უფროსი ბერისა აუცილებლათ საჭირო იყო ყველასათვის,
ვითარცა პური არსებისა.

გადიოდნენ წლები; დღე კი დღეს გავდა, ღამე ღამესა.
გარდა გარეული ფრინველებისა და მხეცებისა მონასტრის
ახლოს არა სულდგმული არ გაიქაქანებდა. ადამიანთა თავშე-
საფარი სახლ-კარი შორს იმყოფებოდა და მონასტრიდან სოფ-
ლამდე ან სოფლიდან მონასტრამდე ასი ვერსი სულ უდაბნო
უნდა გველო. გადალახვის ამ უდაბნოსას ბედადნენ მხოლოთ
ისეთები, რომელთაც შეძებოდათ ცხოვრება, დაეგმოთ იგი
და ისე მიუშურებოდნენ მონასტერში, როგორც სამარეში.
ამიტომაც დიდი იყო გაკვირვება ბერებისა, როდესაც ერთ-
ხელ ღამით იმათ კარებს დაუკაკუნა ადამიანმა-მოქალაქემ,
ჩვეულებრივმა ცოდვის შვილმა, მოყვარულმა ამა ცხოვრები-
სამ.

შესვლისთანავე ნაცვლათ ღოცვისა და კურთხევისა მან
მოთხოვა მონასტრის გამგეს საქმელ-სასმელი. კითხვაზე: რო-
გორ მოხვდი უდაბნოშია, მან უპასუხა: ვიყავი სანადიროთ,
დავლიე ზომამზე მეტი და გზა დავკარგეო. წინადადებაზე:
ალიკვეცე ბერათ და სული იცხოვნეო, მან ღიმილით მიუგო:
„მე არა ვარ თქვენი ამხანაგი“-ო. სმა-ქამის შემდეგ მან გა-
დახედა ბერებს, რომლებიც მასვე ემსახურებოდნენ, გაიქნია
თავი და უთხრა მათ:

— სრულიათ არაფერს აკეთებთ, თქვენ ბერებო, გარდა
იმისა, რომ ქამთ და სვამთ. განა ამით მოიპოვება სული? და-
ფიქრდით: მაშინ, როდესაც თქვენ აქ არხეინათ ზიხართ,
ქამთ, სვამთ და მომავალ ნეტარებაზე ოცნებობთ, ამ დროს
თქვენი მოყვანნი იღუპებიან და ჯოჯოხეთისკენ იკაფვენ გზას.
აბა გაიხედეთ, რა ხდება ქალაქში! ერთი შიმშილით კვდება,
მეორემ არ იცის სათ დაფლას ოქრო თვისი, ვარდება გარყვ-
ნილების მორევი და იღუპება მზგავსათ თაფლში ჩამხრჩვლი
ბუხისა, არ არის ხალხში არც სარწმუნოება, არც სიმართლე!
ვისი საქმეა იმათი ხსნა, ვისი საქმეა ქადაგება? ჩემი ხომ არა,
რომელიც დიდიდან საღამომდის მთვრალი ვარ? განა მშვიდი
გული, მოყვარული გული და რწმენა იმითმ მოგცათ თქვენ
ღმერთმა, რომ ამ ოთხ კედელ შუა იჯდეთ და არა აკეთოთ რა?
მოქალაქის სიტყვები მრისხანე და უკმეხი იყო, მაგრამ

ამ სიტყვებმა საკვირველი გაიღენა იქნა მონასტრის მამაზე.
გაფითრებულმა, სახე მკრთალმა მოხუცმა გადახედა თავის ბე-
რებს და უთხრა:

ქალიშვილი

— ძმებო, ეს ხომ ქეშმარიტ სიმართლეს ამბობს ქალიშვი-
ლაც საწყალი ხალხი, — უგონო, სუსტი — იღუპება — ვარდება
ცოდვაში, ურწმუნოებაში ჩვენ კი არ ვინძრევით იდგილი-
დან, თითქო ჩვენ ეს არ გვეხებოდეს. მე რისთვის არ უნდა
წავადე და არ მოვავანო მათ ქრისტე, ის ქრისტე, რომე-
ლიც დაუვიწყნიათ?

მოქალაქის სიტყვებმა გაიტაცეს მოხუცი ბერი; მეორე
დღესვე მან აიღო ჯოხი თვისი, გამოეთხოვა „ძმობას“ და
გასწია ქალაქში. დარჩენ ბერები უმუსიკოთ, მათ აღარ ესმო-
დათ თავიანთი წინამძღოლის ქადაგება და გალობა.

აგრე მოწყენით გაატარეს ერთი-ორი კვირა, მოხუცი
ბერი კი არ ბრუნდებოდა. როგორც იქნა სამი თვის შემდეგ
შემოესმათ ნაცნობი კაკუნი წინამძღოლის ჯოხისა. ბერები
მიცვივდნენ, მიეგებენ და კითხვა კითხვაზე მიაყარეს, მაგრამ
ის კი ნაცვლათ სიხარულისა, რომ ძმები თვისნი კიდევ იხი-
ლა, სწორეთ აქვითინდა და კრინტიც არ დაძრა. ბერებმა
შენიშნეს: ის გამოცვლილიყო, ძლიერ მოხუცებულიყო და
გამხდარიყო; სახეზე დალილიობა აჩნდა. იცქირებოდა ღრმა
ნაღვლიანათ, და რო ატირდა შეურაცყოფილ ადამიანის სა-
ხე მიიღო. ატირდნენ ბერებიც და თანაგრძნობით დაუწყეს
მას გამოკითხვა — რისთვის ტირი, რისთვის დაღვრემილხარო,
მაგრამ მან ერთი სიტყვაც არ თქვა და ჩაიკეტა თავის ოთახში.
შვიდი დღე იჯდა ის თავისთვის; არა რას ქამდა და არცა
სვამდა, აღარ უკრავდა ორგანოს მხოლოთ ტირიდა. კარის
კაკუნზე და ბერების ხვეწნაზე — გამოდი და გავიზიარებთ შენს
ტანჯვასო, ის ღრმა სიჩუმით აძლევდა პასუხს.

ბოლოს გამოვიდა. შეკრიბა ერთათ ყველა ბერები
და მტირალი, ტანჯვა-წვალების გამომხატველი სახით მოყვა-
თუ რა ნახა და რა შეემთხვა მას უკანასკნელი სამი თვის
განმავლობაში. მისი ხმა მშვიდი რამ იყო, ლაპარაკის დროს
თვალეები უღიმოდნენ. გზაშია, ამბობდა ის, ფრინველები
მიგალობდნენ, ნაკადულები ჩხრიალებდნენ და ტკბილი, ნორ-
ჩი იმედები სულს მიღელვებდნენო. მივდიოდი და თავს ვადა-
რებდი იმ მეომარს, რომელიც საომრათ მზათ არის და გა-
მარჯვებაში დარწმუნებულა. მგზავრობაში ოცნებებით გა-
ტაცებულს არ გამიგია გზა როგორ ვათავდა.

აქ-კი მას ხმა აუთრთოლდა, აუკანკალდა, თვალნი აენ-
თენ, ის მთლათ მრისხანებათ გადაიქცა და ქალაქზე და მო-
ქალაქეებზე იწყო ლაპარაკი. მას არასოდეს არ უნახავს და
თითქმის ოცნებაშიაც არ გაუბენდია წარმოედგინა ისეთი
სანახაობა, როგორიც მან ქალაქში შესვლისთანავე ნახა.
მხოლოთ იქ, პირველათ მის სიცოცხლეში, სიბერის დროს
დანიხა მან და გაიგო — თუ რა მძლავრია ეშმაკი, რა მშვე-
ნიერია — ბიწიერება და რა უღონო, უსულგულო, არარაა —
ადამიანი. თითქო განგებ პირველი სახლი, რომელშიაც მას
შესვლა მოუხდა, იყო სახლი გარყვნილებისა. ორმოცდა
ათამდე კაცი, რომელთაც, ეტყობოდათ, ბევრი ფული ქონდათ,
უზომოთ სვამდნენ ღვინოს და მთვრალნი მღეროდნენ და
ისროდნენ ისეთ უწმაწურ სიტყვებს, რომლის თქმას ღვთის
მოშიში ადამიანი ვერ გაბედავს; განუსაზღვრელათ თავისუფ-
ლობს, ამაყობს, ბედნიერებს, არ ეშინოდათ არცა ღვთისა,
არცა ეშმაკისა და არცა სიკვდილის; ლაპარაკობდნენ და აკე-
თებდნენ, რაც სურდათ; მიექანებოდნენ იქით, საითკენაც ერე-
კებოდა მათ ვნებათა-ღელვა. ღვინო-კი, წმინდა, ვითარცა
ქარვა, ოქროს ფერათ აქაფებული, საუცხოვო გემოსი უნდა
ყოფილიყო, რადგან მსმელები გადაკერის დროს მხიარულათ
იღიმებოდნენ და კიდევ უნდოდათ დაელიათ. მსმელთა ღი-



მიღს ნუნუაც ღიმილით უპასუხებდა: როდესაც სვამდენ, ის აღტაცებით ნაპერწკლებს ყრიდა, თითქოს იცის, რა გვარ ჯადოქრულ სიმშვენიერეს მალავს თავის სიტკბოებაშიო.

მოხუცმა ტირილ-ქვითინით განაგრძო ნანახის აღწერა. სტოლთან, მოქვიფებებს შუაო, თქვა მან, იდგა ნახევრათ ტიტველი ქალი. ძნელი წარმოსადგენი და სანახავია ბუნებაში მახე უმშვენიერესი და უწარმოტაცესი რამ. იგი, საძაგელი, ახალგაზრდა, გრძელ თმისანი, ჩასუქებული, შეფთვალ-წარბა, მსხვილ ბაგისანი, უსირცხვილო და გახრწნილი კრეკდა კბილებს, და იღიმებოდა, თითქოს სურს სთქვას: „შემომხედეთ რა გახრწნილი ვარ და რა ლამაზიო“. ფარჩა-აბრეშუმეული ამშვენებდა მის მხარ-თეძოს; სილამაზე არ იფარავდა თავს ტანსაცმელქვეშ: ის ქორჯა ბალახით მთელათ მოსჩანდა ტანსაცმელიდან. გახრწნილი ქალი ღვინოს სვამდა, მღეროდა და ნებდებოდა ყველას, ვისაც კი სურდა.

შემდეგ მოხუცმა მრისხანეთ, ხელებ-კანკალით ასწერა ხარბის ბრძოლა, თეატრები, მხატვართა სახელოვნო, სადაც ხატავენ და აქანდაკებენ თიხისაგან გარკვენილ ქალებს. ის გატაცებით ლაპარაკობდა, ღიმილსა, მწყობრათ, თითქოს უჩინარ სიმებს აღრილებსო; გაშვებული ბერები კი გატაცებით ისმენდენ წინამძღოლის ლაპარაკს და აღტაცებულთ სული ყელში მობჯენოდათ... გაათავა რა მოხუცმა აღწერა ეშმაკის მშვენიერებისა, ბიწიერების სილამაზისა და საზარელი დედაკაცის მომჯადოებელი მიხვრა-მოხვრისა, დასწყევლა ეშმაკი და მიეფარა თავის თთახის კარებს...

მეორე დღეს, როდესაც ის გამოვიდა თავისი ოთახიდან, მონასტერში აღარ დახვდა არც ერთი ბერი. ყველანი ქალაქში გაქცეულიყვნენ.

ა. მითაიშვილი.

დაკრავს საათი.

(სურათი).

დაკრავს საათი... ცა შუბლს შეიკრავს, ელვა მიზაწე გაიკლანება, იგრგვინებს მეხი და დედამიწის ბანს გამოიწვევს მის ძლიერება!.

დაკრავს საათი... და ნიაღვარი მთელს დედამიწას მოედინება და ქუჩყით სავსე მას ნიაღვარი მოერეცხება, მოეწმინდება!..

დაკრავს საათი... განრისხებული ზღვა თავის კიდეს დაეჯახება და ლომებრ მძლავრი, ფაფარ აყრილი, ტალღები ტალღებს შეენარცხება!..

დაკრავს საათი... გამოიღარებს, ცა შუბლს გაიხსნის, გაიღიმება, და მის სივრცეში ბადრი მთოვარე დიდებულათა ამობრწყინდება!..

დაკრავს საათი... და დედამიწა მწვანით მოირთვის, მოიკაშმება და იმის მდელოს, მორთულს, მოქარგულს ციური ნამი დაედინება!..

დაკრავს საათი... და კმაყოფილი ზღვა დაწყნარდება, ზვირთნი ჩადგებიან და სარკისებურ მის სწორ სივრცეში მისა სხივები ათამაშდება!

კ. გოგოლაძე.

ი უ ლ ა .

ოდეს მეხი, ჩემგნით შორს, შორს გაივლებს, დაიქექებს; ოდეს ტყვია განასროლი თვის მსხვერპლს მწარეთ დააკვნესებს; ოდეს ცაი, ძირს მთა და ბარს რისხავს, უძღვნის კრულვა-ქოლვას; ოდეს სული—სულსა მისდევს და ორივ კი ქართა ქროლვას; მაშინ ჩემდა უნებურათ, წინ მქხატვის ჩემი თავი: ბილწი, მრუში, გამცემელი, საზიზღარი, მომშხამავი— და შიში სულს, გულს მიხრთავს, შავი ფიქრი მივლის ლახვრათ, რომ ვაი თუ ცის და ქვეყნის რისხვა მომხვდეს,—მაქციოს მტვრათ.

ბ. ახოს-პირელი.

წოდების არა მქონე.

(Миръ Божій № 10).

„წოდების არა მქონედ“ აღმოჩნდა, „აღმოსავლეთ მიმხილვის“ სიტყვებით, ერთი სოფლის მასწავლებელთაგანი. სკოლაში თორმეტი წლის სამსახურის შემდეგ, მოუნდა მას საზღვარ-გარეთ წასვლა, საფრანგეთში, ქუთა-გონების განსავითარებლათ. მისცა, როგორც მიღებულთა, ოტსტავკა, მიიღო საჭირო დოკუმენტები და დაუყოვნებლივ გამოცხადდა სადაც ჯერ არს საზღვარ-გარეთ წასასვლელ პასპორტის მისაღებათ. პასპორტის მიღებისათვის არავითარი დაბრკოლება არ იყო. ყველაფერი კარგათ მიდიოდა, რომ ერთ ხანს, მალაღებელს წოდების შესახებ, არ გამოეყო თავი.

პასპორტის მიმცემსა და მიმღებ შორის შემდეგი ლაპარაკი გაიბა:

- თქვენი წოდება?
- ყოფილი მასწავლებელი.
- ასეთი წოდება არ არსებობს.
- მე გლენთავანი ვარ.
- ჰო, მაგრამ თქვენ ამორიცხული ხართ გლენთა წოდებიდან სამსახურში შესვლის უმალ, ე. ი, უკვე თორმეტი წლის წინეთ.

— ამდენი წლის ნამსახურს, მე მაქვს უფლება პირველი ჩინის მიღებისა.

— ჰო, მაგრამ თქვენ ის არ მიგიღიათ. . მაშ რა წოდებისა ხართ თქვენ?

- ჰმ... ჰმ... არ ვიცი.
- არც მე ვიცი. მიმართეთ თქვენ წინანდელ მთავრობას და იშოვეთ მოწმობა თქვენი წოდების შესახებ, უამისოი მე არ შემიძლიან საზღვარ-გარეთის პასპორტი მოგცეთ.

„წოდების არა მქონე კაცი“ ისარივით გაქანდება თავის წინანდელ მთავრობასთან და უამბობს თავის დარდს.

უფროსი დიდ საგონებელშია.

— დიახ... მართლა ეხლა რა წოდებისა ხართ თქვენ? გაქვთ უფლება კოლეჯის რეგისტრატორობის ჩინზე, მაგრამ თქვენ არ ხართ კოლეჯის რეგისტრატორი...

თორმეტი წლის წამსახურ მასწავლებელს შეგვიძლოთ გბოძებოდეთ საპატიო მოქალაქის ხარისხი, მაგრამ თქვენ არა ხართ საპატიო მოქალაქე...

გლვხთა წოდებაში უკვე თორმეტი წელიწადია რაც აღარ ირიცხებით... მაშ თქვენ ეხლა რაღას წარმოადგენთ?

„წოდების არა მქონე კაცი“ გამოდის უფროსიდან სრულიათ გაქარწყლებული.

— მგონი პარიჟის ნაცვლათ შინ წათრევა მომიხდეს, თუ რაიმე წოდებაში არ ჩაეფხიხრე,—ჩაბუზღუნა იმან იმ დღეს ჩემთან შეხვედრის დროს. აი, ძამია, ჩემი მდგომარეობა როგორც იტყვიან ხოლმე, გუბერნატორისაზე უარესია. უმთავრესათ კი—ნერვებია უკანასკნელ ხარისხამდე აშლილნი. ამდენი თავის მტვრევა, ამდენი მოქმედველილოდინი და მასთან კი სრული უწყალოება, მერე რისთვის? რაღაცა ფორმალისმისათვის...

ერთი დღის შემდეგ კიდევ შემხვდა მე ის, და მისმა გაბრწყინებულმა სახემ დამარწმუნა, რომ პასპორტი აღებულნი ჰქონდა...

— აბა, რა წოდებისა ხარ? შევეკითხე მე სრული ცნობის მოყვარებით.

— პეიზან,—ირონიულათ მიპასუხა მან, ხელცების შლით: ისევ მხარკე წოდებაში ვფორხილობ.

— როგორ? თორმეტი წლის სამსახური?

შორს მიაბრძანეს, მაგრამ, ღმერთმა მშვიდობით ამყოფოთ, მადლობა ღმერთს რომ პასპორტი მაინც ხელთ ვგვდე.

წერილი ნავთის სამეფოდან.

ბევრს, ვისაც ბაქო არ უნახავს, წარმოდგენილი აქვს, რომ ნავთი თითქო ბაქოში ამოდის, ნამდვილათ-კი უმთავრესი ნავთის საღებო ქა-მადნები იმყოფება სოფ. საბუნჩა-ბა-ლახანა-რამანაში (ბაქოზე 15—17 ვერსტის მოშორებით) სურახანაში (10 ვერ.) და ბიბი-ეიბათში (3—4 ვერ.); თვით ბაქოში-კი მოთავსებულია უმთავრესი კონტორები; ხოლო ბირჟა და ნავთის სახდელი ქარხნები ბაქოს ერთ ნაწილში, ეგრეთ წოდებულ შავ-ქალაქშია, სადაც ზემოთ დასახლებულ მადნებიდან მრავალ რკინის მიღებით გაყავთ გამოუხდელი ნავთი.

გაოცებთ ის აუარებელი ფული და შრომა, რომელიც ხარბ ადამიანს ჩაუყრია ამ უხიაკ და ხრიოკ ადგილებში, სადაც ზაფხულობით ან სიცხე გულს ვიხუთავთ, გამუდმებული მტვრის ბუქი თვალს გივსებს და ვერსად დაგინახავთ ერთი მკენარეც კი, რომელზედაც დაღალული თვალის შეჩერება შეიძლებოდეს... აი, ასეთ უქმურ ადგილებში, რამდენიმე კვადრატული ვერსტის მანძილზე, თითქმის ზედი-ზედ მიდგმულია ათასობით უშველებელი გამურულ-გაქვარტლული ნავთის-საყვანი კოშკები. ნავთის ამოსაყვანი ქა იოხრება 150—350 საყენის სიღრმემდე, რასაც ხშირათ მთელი წლობით უნდებიან (თხრიან ელექტრონის და ორთქლის შეწეობით); თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ თითო ამგვარი ქის გათხრა და კოშკის დადგმა ათასი თუმნობით ჯდება და რომ ამას გარდა დიდ ხარჯს თხოყოლობს აგრეთვე მანქანების, საღვომ ბინების და საზოგადოთ მადნების მოწყობა, დაახლოვებით მაინც წარმოიდგენთ, თუ რამდენი მილიონებია ამ ადგილებში ჩაბნეული. მიღეთი ხალხის (უქმეტესათ მშრომელის) გამალეხული მოძრაობა, მრავალგვარ მანქანების შე-

უჩერებელი ხრიალ-კვილი, რის მოძახილსაც ბანს აძლევს ყოველ ნახევარ საათში ამ სოფლებსა და ბაქოს შორის მქროლავი მატარებლები, ეტლებ-დროგების მოძრაობა და გარშემო უთვალავი, გამურულ-გამურული რაღი კოშკები,—როგორღაც ვამაბრუებლათ მოქმედობენ ახლათ მოსულზე. ზემო აღწერილი სურათი უფრო საზღაპრო ხდება, როცა ზაფხულის დამეში ხედავ აქეთ არა იშვიათ ხანძარებს, რომლის აღითაც კაშკაშებს, არამც თუ კარგა შორს მდებარე ადგილები, არამედ ცის კიდეც კი. ამ დროს ისმის მდგარი გუგუნის, გასკდარ ნავთის ბეღლების ქეკა და ღმუილი შეშინებულ ახლო მდებარე მადნებიდან.

ასეთია ნავთის სამეფო. ვინ არის მეფე ამ სამეფოში? ამ აუარებელ სიმდიდრეს დაპატრონებიან, ორიოდვე თათარს გარდა, ყოველ მხრიდან გადმოხვეწილი სომხობა, უცხოელები, რომლებიც ბოლო დროს სულ უფრო იკიდებენ აქ ფეხს. და რამოდენიმე რუსიც. მარტო ნობელისა ოთხასზე მეტი კოშკი მუშაობს და ყველაზე საუკეთესოთ, რაციონალურათ თითქმის ყოველ მხრივ ამისი ფირმა დაყენებული. შემდეგ შესანიშნავნი არიან: როტმილდის და მრავალ სომეხთა ამხანაგობის ფირმები, მონათლულნი რუსული სახელებით: კასპის ამხანაგობისა, არამაზდისა, მანთაშვილისა, თუმავეისა, მოსკოველ ამხანაგობისა და მრავალ სხვათა.

მადნების მესაკუთრენი ცხოვრობენ, რა თქმა უნდა, ქ. ბაქოში, სადაც კანტორები აქვთ გამართული და იქიდან (15--18 ვერსტის მანძ.) ტელეფონით იძლევიან ყოველგვარ განკარგულებას, ხოლო ხან-და-ხან კიდევ გამოისიერებენ ხოლმე თავის ქონების დასათვლიერებლათ. მადნებში კი სცხოვრობენ: მმართველნი, მათი თანაშემწენი, ნოქრები და მუშა ხალხი.

თუ მესაკუთრენი ცდილობენ, რომ თავიანთი შრომა სულ არარაობამდე მიიყვანონ და მთლათ თავიანთხელქვეით-გამგე-მართველთ მოახვიონ თავზე,—ეს უკანასკნელნიც, „ხაზენიებზე“ არა ნაკლებ სცდილობენ თავი დაახწიონ შრომას და „ყვავის ბახალასი“ არ იყოს, მიუგდონ „დიდ-თავა ბუს“—მშრომელ ხალხს. თუ ზოგიერთი აქაური ფირმა-მადნების გამგე ინჟენერები რამდენათ იმოკლებენ თვის შრომას, მკითხველი ქვემოთ მოყვანულ მაგალითებიდანაც დაინახავს. ნავთის ამოღება ქებიდან შეუყენებლივ დღე-ღამე წარმოებს. მომუშავეთ რომ ღამით არ ჩაეძინოთ და არ შესწყვიტონ მუშაობა, ინჟენერს გამოუგონიათ იმ გვარი მანქანა, რომელიც ქალაღზე უტყუარათ ნიშნავს: როდის, რამდენჯერ და რა სიღრმეზე ჩაუშვია ნავთის ამოსაღები ქურქელი. ამგვარათ ეს მანქანა საშუალებას აძლევს მას ღამ-ღამოსით თავი არ შეიწყუბოს შრომით. აი კიდევ ერთი მაგალითი: რადგან აქ ძალიან ხშირია ცეცხლის გაჩენა და დიდი სიფრთხილვა საჭირო, ყველა ქარხნებს ჰყავს თავისი ღამის დარაჯი, რომელიც მოვალეა მთელი ღამე (ხშირათ დიდ მანძილზე) გარს უაროს ქარხანას, და რადგანაც ამ მარტო ხელმა კაცმა, შეიძლება ღამე თავი ვერ შეიკავოს და ჩაეძინოს,—ამის წინააღმდეგაც ინჟენერებს საშუალება გამოუძებნიათ: გაუკეთებინებიათ ერთ გვარი საათისებური მანქანა, რომელსაც ღამის დარაჯი თან ატარებს; ამ მანქანას იმდენი გასაღები აქვს, რამდენ ალაგსაც ღამის დარაჯმა უნდა დახედოს ხოლმე. ეს გასაღებები დასაზვერ ადგილებში ინახებიან,—და თუ დარაჯი დაინიშნულ დროს დანიშნულ ადგილზე არ მივიდა და იქ შენახულ გასაღებით არ მომართა ეს მანქანა, შემდეგში (ან დაგვიანებული, ან ადრე, ან ერთ დროს რამდენჯერმე) აღარ მოიმართება; ერთი გასაღებითაც არ შეიძლება მანქანის სხვა და სხვა დროს მომართვა. ამ მანქანას შიგნიდან აქვს ქალაღ-

დის ლენტი, სადაც უტყუარათ აღინიშნება რად ან როდის მომართულა საათი.

აქაურ მუშებს შეადგენენ რუსები და სპარსეთის აუტანელ-სოციალურ პირობებიდან თავდახსნული ბოგანო ხალხი,—ეგრეთ წოდებული „ამშარა“. დღიურ მომუშავეთ ეძლევათ 70—1 მ. 20 კაპიკამდე, ამასთანავე რუსის მუშის შრომა ყოველთვის 40—30 კაპ. მეტათ ფასობს სპარსელი მუშისაზე, თუმცა ეს უკანასკნელი თანხმდებთან უფრო ძნელ და აუტანელ პირობებში მუშაობას, რის გამო ერთიანათ ნავთში და ტალახში არიან გაძანგლული; ორთქლის გრძელ და ვიწრო სულ-შემხუთავ ფეხებში ტიტველანი ძვრებიან გასაწმენდათ; გატიტველულნივე წმენდენ დახურულ და მყარ ქარხნებში გაყვანილ არხებს; წმენდენ ნავთის ამბრებს, სადაც ნავთის გაზით ისე ითვრებიან, როგორც არაყით და სხვ...

მუშათა სულ მცირე ნაწილი, სახელდობრ თვიურათ ზომუშავენი, სარგებლობს ბინებით ნავთის მებატონეებისაგან, თორემ უძრავლესობა 10—15 კაცი და მეტიც ხშირათ სახლობითურთ მოთავსებულნი არიან (რუსები) ერთ უსუფთაო ოთახში. სულიერ საზრდოს ხომ მაინც არ აკლებენო იკითხავს მკითხველი. აი პასუხი: იმისდა მიუხედავათ, რომ აქ თავმოყრილია რამდენიმე ათასობით როგორც შავი ლუმა, ისე მცირე შემდეგ მშრომელი ხალხი აქ არ ზოიბოვება ერთი სამკითხველოც კი; წარმოდგენები (იფთხისიანი სახალხო), სახალხო კითხვები და სხვა ამგვარი სულიერი საზრდო—აქაურებისათვის უცნობი ხილია, და ამიტომაც, არც იმდენათ საკვირვებელია, რომ თავისუფალ დროს ეძლევიან ღოთობას, აურზაურობას, ბანქოობას მთელი დღე-ღამეობით, და მრავალ ამგვარ ზნეობა შემოღახველ და გამათახსირებელ დროს გატარებას.

დასასრულ, თუმცა აქაური ნავთით მთელი ქვეყნიერება განათებულა, თვით ეს სიფლავი კი (ქარხნებს გარდა) მოლაშებიდან, ისეთი წყველიადით არის მოკლული, რომ თავზე ხელ-აღებულნი თუ გაბედავენ ზობინდების შემდეგ გარეთ გამოსვლას,—ნით უმეტეს, რომ იმ დროდან არა იშვიათად ისეთი სროლა ატყდება ხოლმე, რომ ინგლის-ტრანსვალის ომი გვეგონებათ. *) ვიწრო ოღრო-ჩოღრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში ტალახი და ყოველივე სიბინძურე აუწერელია.

გ. ახალციხელი

შილღერის პოეზიის მირითადი თვისებანი.

როგორც უკვე ვთქვით მთელს ბუნებაში, ყოველგვარ უსულო საგანთა შორისაც შილღერი სიყვარულსა და მეგობრობას ხედავს, მისი მუზა სიყვარულსა და მეგობრობას უმღერს. ბედნიერება მხოლოდ აქ არის შილღერის აზრით, სადაც სიყვარული და მეგობრობაა; მაგრამ ამით გარდა ბედნიერების მთავარ პირობათ შილღერს მიაჩნია თანასწორობა და თავისუფლება. შილღერის აზრით ადამიანთა შორის ყოველისფერი თანასწორობა უნდა იყოს განაწილებული, თვით ბედნიერების განაწილებასაც კი თანასწორობით ითხოვს პოეტი და ის ვერ ურიგდება იმგვარ უსამართლობას, რომ ერთსა და იმავე საზოგადოებაში ერთი ბედნიერი იყოს, მეორე კი უბედური. თავისუფლების კითხვაში შილღერი გადაჭრილ

*) თუმცა დიდი ხანია აქეთ აღკრძალულია იარაღის ტარება, მაგრამ აქ ისეთ ახალგაზრდა თათარს ვერ შეხვდებით, რომ ჯიბეში ან ჩოხის ქვეშ ახალი სისტემის რევოლვერი არ ეკიდოს, ამიტომაც მკვლელობა, რომელიც მომეტებულ შემთხვევაში სისხლის ძიებას მოსდევს, და აგრეთვე ქარცვა-გლეჯა აქეთ არა იშვიათია.

პასუხს იძლევა თავის ლექსებში. როგორც შემდეგშიც დავინახავთ, ის მტერი აყო ყოველგვარი შევიწროების, შეზღუდვის, ძალ-მომკობისა და ერთისაგან მეორის დაჩაგრვის თავისუფლება მისი რწმენით ყოველი ადამიანის უფლებად თვისებაა და ამ თვისების წართმევა ყოველათ შეუძლებელია. „ყველა ადამიანს დასაბამიდანვე მინიჭებული აქვს თავისუფლება თუნდა ბორკილებშიაც დაბადებულიყოლო“, წერს ის ერთ თავის ლექსში 1797 და ამით აშკარათ ამტკიცებს, თუ როგორ ესმოდა პოეტს თავისუფლება. თავისუფლების ყოველგვარი შევიწროება შილღერს მიაჩნდა დიდ უსამართლობათ და მტარვალობათ და ამგვარ მტარვალობასთან ბრძოლას შეაღია მან მთელი თავისი ნიჭი და ღონე. შილღერის ლირიკა—ეს თვით გულია შილღერისა, მისი წვრილი ლექსები მისივე სულის სარკეა. თქვენ იხედებით ამ სარკეში და უნებურათ შეუმჩნევლათ ძლიერი წყურვილი გებადებათ, გინდათ ყველა შეიყვაროთ, ყველას დაუმეგობრდეთ, შური და მტრობა დაივიწყოთ და თვით უსულო ბუნებასაც კი გაუამხანაგდეთ, გულში ჩაიკრათ. თუ შენ სული შეგებუთა მკითხველო საზოგადოებრივი ცხოვრების ვიწრო და შემორიანმა ატმოსფერამ, მიმართე შილღერს; ის გადაგიშლის შენ ბუნებას და დაგანახევებს, რომ ბუნება საუკეთესო საზოგადოებაა, სიმშვენიერით, სიყვარულითა და მეგობრობით აღსავსე. თუ შენს გულში მარტოობის სევდას დაუბუდნია, მკითხველო, შილღერს მიმართე,—ის გეტყვის: მე მარტო არასოდეს არა ვყოფილვარ,—ხე, ზალახი, კლდეები ყოველთვის ჩემთან იყვენ და მათ შორის ჩემი თავი მარტო არ მიგრძენია, მათთან ერთათ მეც ბუნების შვილი ვიყავიო. თუ ადამიანს სადმე რწმენა დაკარგვია, მკითხველო, მიმართე შილღერს,—ის ჩაგახედებს ადამიანის გულში და დაგანახევებს შიგ სიყვარულს, ძიობას, მეგობრობას, დაგარწმუნებს, რომ ადამიანში არის პატიოსნება, რაც უნდა დაცემული იყოს ის. თუ ბოროტებას შენთვის სასოება დაუკარგავს, მიმართე შილღერს,—ის დაგანახევებს შენ, რომ ქვეყნათ კეთილი არსებობს. თუ ცხოვრებაზე გული გაგტეხია, მკითხველო, და სიცოცხლე მოგბეზრებია, დაუმეგობრდი შილღერს და ის გასწავლის: გაათბე შენი გული სიყვარულისა და მეგობრობის წმინდა შუქით, შეუჩერებლათ იზრუნე შენი განკარგებისათვის, მაშინ შენს სიცოცხლესაც მიზანი ექნება და ცხოვრებაც შეგიყვარდებოა. შილღერს მე არასოდეს არ ვუწოდებ გენიოსს, ის არ არას გენიოსი, მაგრამ ის იმედია ყველა უიმედოსი, ის ნუგეშია ყველა უნუგეშოსი, ის შევბაა ყველა სულით ტანჯულისათვის და აი ამაშია ძლიერებაც.

შილღერი ღრმათ დარწმუნებულია, რომ ადამიანი უზენაესი მიზნისათვის არ დაბადებულა. რაში მდგომარეობს ეს უზენაესი მიზანი? ზნეობრივთა და გონებრივთა შეუჩერებელ განვითარებაში. შილღერი ამგვარ განვითარებას, განკარგებას ითხოვს ყოველი ადამიანისაგან, ხოლო ამისათვის აუცილებელ პირობათ მიაჩნია: სიყვარული ანუ ძიობა, მეგობრობა ანუ ერთობა, და თავისუფლება ანუ თანასწორობა. პირად განვითარებას შილღერი მეტ ყურადღებას აქცევდა და მეტ მნიშვნელობასაც აძლევდა, ვიდრე საზოგადოებრივს. ამაში მარტოა შილღერის შეცდომა კი არაა—მთელი მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიური აზროვნებისა. საშვალო საუკუნოებიდან მოყოლებული სარწმუნოებამ, ტრადიციებმა, საზოგადოებრივმა წყობილებამ პიროვნება წელა-წელა შეზარდა, —შეზღუდა და ბოლოს სრულებით მოუსპო მას ყოველგვარი თავისუფლება მარტო მოქმედებაში კი არა, აზროვნებაშიც. მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლებმა მოინდომეს პიროვნების განთავისუფლება და, რადგანაც ყოველ ახალ მოძრაობას, ახალ მიმართულებას თან დასდევს უკიდუ-

რესობა, გადაჭარბება, აქაც ასე მოხდა: პიროვნების განმათვისუფლებელთა შორის ბევრმა სრულებით დაივიწყა, რომ არსებობს პიროვნების გარდა საზოგადოებრივი ცხოვრება და რომ ორი ამ ელემენტის განვითარება, გაუმჯობესობა უერთმანეთოთ, ცალცალკე შეუძლებელია; და მთელი თავისი ყურადღება პიროვნებას მიაქციეს. შილლერიც სწორეთ ამგვარმა უკიდურესობამ გაიტაცა. პიროვნების განვითარებას შილლერი უმთავრეს მნიშვნელობას აძლევს, მაშინ როდესაც თვით პიროვნების განვითარება დამოკიდებულია საზოგადოებრივ განვითარებაზე; პიროვნების კეთილდღეობისათვის ზრუნვას ის ყოველი ადამიანისაგან ითხოვს, მაშინ როდესაც საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვა მას სრულებით არ მიიჩნია სავალდებულოთ. „საქიროების დროს მეგობრულათ ხელი გაუწოდე და დაეხმარე იმ კაცს, რომელსაც ცხოვრების ღრე-კლდეებში შეხვდები, მაგრამ ყველა შენი მოყვანის კეთილდღეობაზე ზრუნვა ცას მიანდო“, წერს ის ერთ თავის ლექსში. (კაცობრიობის გამასწორებელს. 1796 წ.) აქედან ცხადია, თუ როგორ ესმოდა შილლერს საზოგადოებრივი მოღვაწეობა. შენ პიროვნების კეთილდღეობისათვის იზრუნოს და მთელი საზოგადოებისათვის ცა იზრუნავსო. შეიძლება, იმ დროს ცა მართლაც ისე ზრუნავდა, ეს სულიერ მამებს ჩემზე უკეთ ეცოდინებათ, ხოლო ის კი კარგათ ვიცი რომ დღეს ასე აღარ არის, და ამიტომ შილლერის აზრი ერთ დიდ შეცდომას წარმოადგენს. ყოველი კერძო პიროვნება იმდენათ არის ჩასკვნილი საზოგადოებრივი ცხოვრების ბადეში, რომ მას განძრევა არ შეუძლია ისე, თუ უმაღლეს ცხოვრება არ აინძრა, არ ამოძრავდა. ზნეობრივათა და გონებრივათ პიროვნების ამაღლება, თუ უმაღლეს თვით საზოგადოებრივი ცხოვრება არ ამაღლდა, სრული უტოპიაა. ადამიანის ყოველგვარი მოთხოვნისა, როგორც სულიერი, ისე ხორციელი, მხოლოთ ცხოვრებაში პოებს თავის დაკმაყოფილებას და, თუ თვით ცხოვრება არ წარმოადგენს საკმაოთ მომზადებულ ნიადაგს ამა თუ იმ მოთხოვნისა დასათესათ და გასაფურჩქნათ, მართლაც პიროვნების ზნე და გონება ბევრს ვერაფერს გააწყობს. საქმე იმაში კი არ არის, რომ ერთი და ორი პირი ზნეობითა და გონებით ვარსკვლავებსა წვდებოდენ, საქმე იმაშია, რომ უმრავლესობა იყოს ბედნიერი, უმრავლესობას შეეძლოს დაუბრკოლებლათ განვითარება ზნეობრივათ და გონებრივათ,—ამისათვის კი აუცილებელ და უპირველეს პირობას საზოგადოებრივი ცხოვრების შესაფერათ გაწესრიგება, მისი ამაღლება შეადგენს. პიროვნება ვერ გააკეთებს, ვერ განახორციელებს მას, რის პირობებსაც თვით ცხოვრება არ იძლევა. ამიტომ შილლერის ტეზისი—თუ პიროვნება კარგია, საზოგადოებრივი ცხოვრებაც კარგია, თუ პიროვნება ზნეობრივია, საზოგადოებრივი ცხოვრებაც ზნეობრივია, თუ პიროვნება განვითარებულია, საზოგადოებრივი ცხოვრებაც განვითარებულიაო, დღეს ამგვარათ უნდა შეიცვალოს: თუ საზოგადოებრივი ცხოვრება კარგია, პიროვნებაც კარგია, თუ საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარებულია, პიროვნებაც განვითარებულია.

ამგვარია დედა აზრი შილლერის ლექსებისა. თუ როგორია მისი დრამების დედა აზრი,—ამას ქვევით დავინახავთ. ზევით, როდესაც შილლერის ლექსებს შევხებით, ჩვენ ვამბობდით: შილლერის ლექსებში ცხოვრება სრულებით უარყოფილიაო. მართლაც შილლერის ლექსებში და ბალადებში ძვირათ წაწყდება მკითხველი საზოგადოებრივ ღირიკას, საზოგადოებრივ მოტივს,—აქ პოეტის მთელი ყურადღება, მთელი მისი არსება ბუნებისა და ადამიანისაკენ არის მიქცეული. მიუხედავთ იმისა, რომ შილლერს ბედმა კერძო ცხოვრებაში არ გაუღიმა, მიუხედავთ იმისა, რომ

პოეტმა ბევრი სიმწარე გამოცადა, მიუხედავთ იმისა, რომ პოეტისავე სიტყვით ის არკადიაში დაიბადა, მაგრამ მისმა გაზაფხულმა მთლიათ კრემლში გაიარა, პოეტმა სიკვდილის უკანასკნელ წამამდე შეიჩინა ოპტიმისტური შეხედულება ცხოვრებაზე, მარად ახალგაზრდა სული. მისი პოეტობა ღრმა სიყვარულია ბუნებისა და ცხოვრების, ღრმა რწმენაა სიკეთისა და ადამიანისადმი. აი, ამ რწმენის ნაყოფია შილლერის დრამები. თუ ლექსებში შილლერის საგანი ბუნება იყო, დრამებში შილლერის უმთავრესი ყურადღება ცხოვრებისაკენ არის მიპყრობილი. სიკეთისა და ადამიანობის სახელით ის ებრძოდა ყოველგვარ საზოგადოებრივ უსამართლობას და, თუ ნაპოლეონი ამბობდა ბომარშეს „ფიგაროს“ შესახებ: „ეს კომედია რევოლიუციას სცენაზეო“ ეს სიტყვები უფრო სამართლიანათ ითქმის შილლერის დრამების შესახებ. მისი „ავაზაკები“, „ფიესკო“ და „ლოუიზა მილლერი“ ნამდვილი რევოლიუციანია, სრული დამბობაა თანამედროვე საზოგადოებრივი ურთი-ერთობის. შილლერი იგივეა გერმანიისათვის, რაც შექსპირი ინგლისისათვის. შილლერამდე დამის დროსაც გერმანიაში ბევრი იყო დრამატურგი, ხოლო შილლერი გერმანიის სცენის მთავარი ბოძია. შილლერის დრამატული ხელოვნების ასახსენლათ საქიროა იმის გახსენება, თუ რა შეძინა ლესინგმა გერმანიის ხელოვნებას; არა თუ შილლერის, გეტეს დრამატული მოღვაწეობაც ულესინგოთ გაუგებარია და ამიტომ ჩვენც ლესინგიდან დავიწყებთ.

მე-XVII მე-XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიის პოეტობა, განსაკუთრებით კი დრამატული ხელოვნება, მეტათ ღარიბი იყო ორიგინალური თხზულებებით. ყოველისფერს, რაც კი ნემეცების სცენაზე იდგმოდა, მონური მიზაძვის ან მიმიუნობის ბეჭედი ესვა. უმთავრესი წყარო, რომელსაც ამ დროს ეწაფებოდა გერმანიის თეატრი, ფრანგული პიესები იყო და, რადგანაც საფრანგეთის დრამატურგები დიდი პატივისმცემელი იყვენ არისტოტელის ესტეტიკისა, ამიტომაც მაშინდელი სცენა—როგორც საფრანგოში, ისე გერმანიაში—კრუ-კლასიკურ გზას ადგა. კრუ-კლასიკური ტრაგედიები ყოველისფერში საბერძნეთისა და რომის კლასიკებს ბაძავდენ, მაგრამ ის, რაც კლასიკურ ტრაგედიებში აუცილებელი იყო, ორიგინალური, დროისა და ცხოვრების შესაფერი და ნაციონალური, ყოველივე ამან კრუ-კლასიკურ პიესებში გაალო რალაც ნაძალადევი, დროისა და ცხოვრების სრულებით შეუფერებელი და გამოურკვეველი სახე. უმთავრეს თვისებას ამგვარი ტრაგედიებისათვის ის შეადგენდა, რომ ჩვეულებრივი დამოკიდებულებანი, ჩვეულებრივი შემთხვევები, ჩვეულებრივი სულის კვეთება და მისწრაფებანი მათთვის არ არსებობდენ,—მათი გმირები უნდა ყოფილიყვენ უსათულოთ ან მეფეები, ან წარჩინებული გვარისა და შთამომავლობის პირნი. კრუ-კლასიკური დრამატურგები მათ აყენებდენ ჩვეულებრივ, ცხოვრებიდან ამოღებულ პირობებში კი არა, არამედ ასეთ პირობებში, რომლებიც გახურებული ოცნების ნაყოფი იყვენ და მთელი მიზანი ტრაგედიისა იმაში მდგომარეობდა, რომ ძლიერთა ამა ქვეყნისათა არა ჩვეულებრივი ტანჯვითა და უბედურებით მაყურებელში გაცემა გამოეწვიათ. კრუ-კლასიკური ტრაგედიის წინააღმდეგ საფრანგეთში ამხედრდენ რუსსო, დალამბერი და დიდრო, მაგრამ პირველათ მას ინგლისმა გამოუცხადა ბრძოლა. ინგლისში ორმა დრამატურგმა—ლილომ და ელუარდ მურმა მე-XVIII საუკუნეში პირველათ უარყვეს კრუ-კლასიკური მეთოდი და საძირკველი ჩაუყარეს სოციალურ ტრაგედიას ანუ ჩვეულებრივ დღევანდელ დრამას—პირველმა „ლონდონელი ვაჭრით“, მეორემ „მოთამაშე“-თი.

მაგრამ როგორც დიდროს პიესები, ისე „ლონდონელი ვაქარი“ და „მოთაზაშე“ მხოლოდ კერძო შეტაკება იყო, რომლის შემდეგაც ევროპის სცენა მაინც ცრუ-კლასიკური ტრაგედიების ხელში დარჩა. უმთავრესი ბრძოლა მოხდა და მასთან ცრუ-კლასიკაშიც დამარცხდა სცენაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ლესსინგმა გამოაქვეყნა თავისი „ჰამბურგის დრამატურგია“. ეს მოხდა 1767—1768 წლებში. ლესსინგმა აქ ვრცლად გაარჩია 75 ტრაგედია და ნათლათ დაამტკიცა ცრუ-კლასიკური თეორიის სრული არაარაობა. საბერძნეთის ტრაგედია თავისი დროისა და ეპოქისათვის შესაფერისი იყო, ამიტომ დღევანდელი ტრაგედიაც თავის დროს უნდა შეეფერებოდესო, მოითხოვა ლესსინგმა. ტრაგიკული კოლონიზების ანალიზით მან დაამტკიცა, რომ ტრაგედია მაყურებელში თანაგრძობას უნდა აღძრავდეს და არა განკვირვებასა და გაოცებას, როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდა ცრუ-კლასიკებს. თანამედროვე ტრაგედიის უმთავრეს პირობათ ლესსინგმა აღიარა თანამედროვე, ჩვეულებრივი ცხოვრების ხატვა და ეროვნული ხასიათი და პირველათ მანვე შექნა გერმანულ ენაზე სოციალური დრამები. რადგანაც ლესსინგი უმთავრესათ თეორეტიკი იყო და კრიტიკოსი, ვიდრე პოეტი, ამიტომ მისი დრამებიც უფრო მშრალ მსჯელობას წარმოადგენენ, ვიდრე ცოცხალ ცხოვრებას. ლესსინგის თეორიამ საუკეთესო განხორციელება პოვა შილლერის დრამებში. ჯერ კიდევ თავის ლექსებში აღიარა შილლერმა, თუ როგორ უყურებდა ის დრამატულ ხელოვნებას და რას ითხოვდა თეატრისაგან. „ჩვენ ვეძებთ თეატრში ჩვენს თავსა და ნაცნობებს; ჩვენს მწუხარებასა და გაჭირვებასო“, ამბობს შილლერი „შექსპირის აჩრდილ“-ში. „ჩვენ არ გვინდა ცრუ ნიღაბებით გმირები, ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი გმირი ადამიანი იყოს. სცენაზე ხან ცრემლებში, ხან ლმობიერებაში სინამდვილე უნდა გვეჩვენებოდესო“, ამბობს შილლერი ერთ თავის ლექსში. ყველა ეს აზრები შთაბერილია ჰამბურგის დრამატურგიით.

სოციალური დრამების უმთავრეს თვისებას ის შეადგენს, რომ მათში წინააღმდეგ ცრუ-კლასიკური ტრაგედიებისა გამოყვანილია ჩვეულებრივი ცხოვრება ჩვეულებრივი ადამიანებისა, რომლებიც უმთავრესათ მესამე წოდების—ბურჟუაზიის წრეს ეკუთვნიან. მათში მოქმედება ბუნებრივი შედეგია გმირების ხასიათისა და იმ პირობების, რომლებშიაც ისინი იმყოფებიან, და არა ავტორის სურვილისა, როგორც ეს ცრუ-კლასიკურ ტრაგედიებშია. ამიტომ, თუ უკანასკნელებში ბევრი რამ არის გაუგებარი და აუხსნელი, სოციალურ დრამებში ყველაფერი გასაგებია მაყურებლებისათვის. ნიშნობლივ თვისებას ყველა ამ ახალი ანუ ბურჟუაზიული დრამებისას ის შეადგენს, რომ მათში მესამე წოდება გამოყვანილია საზოგადოებრივ რეფორმატორათ, ის უკმაყოფილოა არსებული წყობილებით, არსებული კანონმდებლობით, ტრადიციებით, შეხედულებით და ითხოვს სრულ განახლებას ყველა ამ სფეროში.

თავის თავათ იბადება შემდეგი საკითხი: რატომ დაიბადა ბურჟუაზიული დრამის თეორია და თვით დრამაც მხოლოდ მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და არა ადრე? ყოველგვარი მწერლობა მხოლოდ აზრი და ემოციაა; ერთიცა და მეორეც. ნაყოფია ცხოვრების; საზოგადოებრივი ცხოვრება ყოველ კონკრეტულ პირობებში თავის შესაფერ აზრსა და ემოციას წარმოშობავს ხოლმე. ამიტომ მწერლობის ევოლუცია საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციას დადევს ყოველთვის თან. მწერლობაში მხოლოდ იმგვარი რეფორმაცია ხდება, რის თანაბარიც თვით ცხოვრებაში წარმოებს. მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მესამე წოდების თვით-ცნობიერება იმდენათ განვითარდა, რომ ამ წოდებამ შეიგნო თავისი თავი,

გამოაცხადა თავისი თავი სრულ წლოვან კლასათ და მოითხოვა თავისი უფლებანი. როგორც ცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. მხოლოდ ამ წოდების თვითშეგნების განვითარებამ წარმოშობა ლესსინგი და შილლერი, ბურჟუაზიული დრამა და ბურჟუაზიული რომანი; ლესსინგი ქადაგებს მესამე წოდების უფლებას მწერლობაში და განსაკუთრებით დრამაში, შილლერი კი იცავს მის პიროვნებას და ქადაგებს იმის უფლებებს სცენაზე. შილლერი საუკეთესო წარმომადგენელია ბურჟუაზიული დრამისა გერმანიაში. იმ დროს და იმ პირობებში, რომლებშიაც შილლერის ნიჭი გაფურჩქნა, ბურჟუაზია, რომლის ძალ-ღონე ჯერ კიდევ განუმტკიცებელი იყო, მოწინავე იდეების მატარებელი იყო ცხოვრება, ჩვეულებანი, კანონმდებლობა, ზნეობრივი შეხედულებანი—ერთის სიტყვით, მთელი საზოგადოებრივი ატმოსფერა ამ ახალი კლასისათვის შეუფერებელი იყო,—ის ითხოვდა ახალ წყობილებას, ის ითხოვდა თავისი უფლებებისა და ზნეობრივი შეხედულებების გამოფებას ცხოვრებაში. იმ დროს ეს კლასი სიმპატიური იყო, სიმპატიური იყო მისი საკაცობრივო მისწრაფება და ამ მისწრაფების საუკეთესო მქადაგებლათ შილლერი გამოვიდა. უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდა პოეტმა მოითხოვა პიროვნების სრული თავისუფლება. შილლერი კარგათ ხედავდა, რომ პიროვნება და საზოგადოება ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ელემენტები არიან. რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა? მეთვრამეტე საუკუნის ერთა საუკეთესო შვილთაგანი ამ კითხვაზე იძლევა ისეთ პასუხს, როგორც უფრო შეეფერებოდა თანამედროვე მოწინავე მისწრაფებას. საზოგადოებრივი ჩვეულებანი, ტრადიციები, თვით კანონმდებლობაც კი უნდა დაემხონ პიროვნების უფლებათა წინაშე,—აი შილლერის ღრმა რწმენა, აი შილლერის უძლიერესი სურვილი. ამ მხრივ შილლერზე დიდი გავლენა ქონდა უმთავრესათ რუსსოს, რომლის მოძღვრების კვალსაც შესამჩნევათ დაინახავს მკითხველი პოეტის პირველ დრამაში „ავაზაკებში“.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

მეფი ვახტანგ მე-VI-ს კანონები და ქართული ქალი *).

(დასასრული).

ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ქალს შეეძლო მსაჯულთა დახმარებით აღედგინა თავის ქონებრივი თუ პირადი უფლებები, თუ მათი დამგმობი აღმოჩნდებოდა მამა-კაცი. თუ კანონდება მოვალედ ხდის მსაჯულთ მოიწინონ დედა-კაცის საჩივარი, ეუქველია, ამით მათ ვვალებათ განაჩენის დადგინებაც, უამისოდ საჩივარის მოსმენა უაზრო რამ უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა მასთან, რომ მომჩივან ქალის დასახელებულ მოწმეებს მსაჯულნი ვერ ჩამოართმევდენ ჩვენებას ფიცის ქვეშ. ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ქალის საჩივარის გარჩევა ვითომ შეუძლებელი ყოფილიყო მოწმეთა ჩვენების შემწეობით, არა, თვითონ მსაჯულთ უფლება ქონდათ თავიანთი ნებით მოეწვიათ მოწმეთ ის პირნი, რომლებსაც უნდა სკოდნოდათ, მათის აზრით, საქმის ვითარება და რომელებიც ტყუილად არ დაიფიცავდენ.

ჩვენის აზრით, აქ შეიძლება დაშობილ იქნას მხოლოდ ერთი მოსაზრება. დედა-კაცი არ უნდა ყოფილიყო თანასწორ უფლებებით აღჭურვილი მამა-კაცთან შედარებით მსაჯულთა წინაშე. ამის მიზეზი უმთავრესად უნდა ყოფილიყო ის გარე-

*) იხ. „ველი“ № 43.

მოგბა, რომ ჩვეულება და აქედან კანონ-მდებელნი თვლი-
დენ ქალს იმდენად ჩამორჩენილად გონებრივის მხრივ, რომ,
მათის აზრით, ქალს არ ქონდა არაერთი უნარი ჯეროვანად
დაეცვა თავის ინტერესები სამსახულოში, ერთი სიტყვით,
ისინი უცქეროდენ დედა-კაცს ისე, როგორც თანამედროვე
კანონ-დება უცქერის მცირე-წლოვანთ. ამიტომ კანონ-მდე-
ბელნი ავალბდენ მსაჯულთ, რომ ისინი შეეცადონ ქალის
უფლებების აღდგენას თვით მომჩივანის დაუხმარებლად. მომ-
ჩივანე ქალის დანიშნულება მდგომარეობს მხოლოდ იმაში,
რომ ის წარსდგეს მსაჯულთა წინაშე და დაწვრილებით უამ-
ბოს მათ თავისი გაჭირვებული მდგომარეობა. ეს მოსაზრება
მით უფრო ახლოა სიმართლესთან, რომ ქალს სრულიად არ
უნდა ქონოდა წინეთ ნება შესულიყო იქ, სადაც მსაჯულები
ისხდნენ; ამგვარად უნდა გვესმოდეს ჩვენ ვახტანგის სიტყვე-
ბი: „თუ დედა-კაცს აქვს რაიმე საჩივარი მამა-კაცზე, მას
შეუძლია შეჰაიქოს სამსახულოში...“*)

არც ის ითქმის, რომ თუ ქალს არ შეეძლო დაეცვა
სრულიად თავის ინტერესები მსაჯულთა წინაშე, ის ამიტომ
ყოველთვის ითმენდა იურიდიულ უსამართლობას. პირ-იქით
ჩვენა გვაქვს ბევრი მაგალითები, რომელნიც გვარწმუნებენ
იმაში, რომ მეფე ვახტანგი სასტიკად ავალბდა მსაჯულთ
რაც შეიძლება სცდილიყვენ დედა-კაცის უფლებების დაცვას
მამა-კაცის ძალ-მომრეობისაგან. საზოგადოდ კანონ-მდებელნი
სასტიკად სდევნიდენ დედა-კაცის ქონებრივად დამჩაგრულთ.
აიბაგი აღსულა აწესებს: ვინც გარეკავს და მიითვისებს
სხვის ჯოგს (ცხენის), მან უნდა უხლოს პატრონს 2,000
თეთრი ჯარიმად, ხოლო თუ დედა-კაცია ჯოგის პატრონი,
მაშინ დამნაშავეს უნდა გადახდეს ჯარიმად 3,000 თეთ-
რი (142).

როგორ უნდა გავიგოთ ვახტანგის დადგინებულება იმის
შესახებ, რომ მსაჯულთ არ შეუძლიათ გაარჩიონ საქმე იმ
შემთხვევაში, როდესაც მომჩივანე და მოპასუხე ორივე ქა-
ლებია? ჩვენის აზრით, ვახტანგის დროს დედა-კაცის საჯარო
უფლებანი სრულიად არ იყვენ თითქმის ცნობილნი კანონ-
დებისაგან; ქალებ-შორის არც ერთ დავას კანონ-დება არ
ანიჭებს საჯარო ხასიათს, მათი დანაშაულნი კანონ-მდებელს
არ მიაჩნია მან-და-მანც მანედ მთელი ერისათვის და
ამიტომ მისგან დადგენილნი მსაჯულნი (რომელნიც მოვა-
ლენი არიან უმთავრესად საზოგადო ხასიათის საქმეები გა-
ნაგონ) არ უნდა კარგავდენ დროს ასეთ უმნიშვნელო საქ-
მეებისათვის. მაშასადამე, ქალებ-შორის დაუს გარჩევა „მო-
თემეს“ კომპეტენციას ეკუთვნის. აქედან სჩანს, რომ მოთე-
მე დანიშნულია უბრალო საქმეების გასარჩევად და ამიტომ,
როგორც მოსამართლე, ის მეფისაგან დაყენებულ მსაჯულზე
დაბლა დგას. სწორედ ეს ის ისტორიული მოქმედა, როდეს-
აც ქალის საჯარო უფლებები უკვე ჩასახულან ერის ცხოვ-
რებაში, ხოლო ოჯახობრივი დამოკიდებულებანი კიდევ აქარ-
ბებენ ხსენებულ უფლებათა განსაზღვრაში.

მეფე ვახტანგის კრებულში არ არის ნათლად განმარტე-
ბული კითხვა, ქონდა თუ არა ქვრივ ქალს აპეკურობის უფ-
ლება დარჩენილ ოპლებზე და მათ ქონებაზე. საზოგადოდ
აპეკა, ანუ მზრუნველობა არ არის ნახსენები ჩვენ კანონ-
დებაში, როგორც იურიდიული ფორმა იბოლოთა ქონების
შენახვა—მართველობის მოსაწყობად. მიუხედავად ამისა,
ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვახტანგი არ იცნობდა ამ
იურიდიულ ინსტიტუტს, ეს იმიტომ, რომ მისგან შესწორე-

*) ბერძენთა კანონებში ჩვენ ვკითხულობთ ერთს მუხლს იმის შე-
სახებ, რომ მომჩივან დედა-კაცი არა აქვს უფლება სამამართლოში შე-
ვიდეს (85). ეს აზრი არ არის ბოლომდე გაჭრებული ხსენებულ კა-
ნონებში.

ბულ და გამაცემულ სომეხთა კანონებში ჯეროვანად არის
შედარებით ვარკვეული ეს კითხვა (4, 5...). რაც უნდა იყოს,
ვახტანგის სამართალში ჩვენ ვხვდებით ერთს მუხლს უფ-
ლიც ავალბებს სხვათა შორის ქვრივ, ქალს დედა-კაცის უფ-
ლების „გაზრდას, დაბინავებას, გათავებას“. უეჭველად,
მას ამ შემთხვევაში უნდა ყოლოდა მოხრედი ვანმე მახლო-
ბელი ნათესავი მამა-კაცი, ეს შემთხვევაც არის ნახსენები
ხსენებულს მუხლში (203). შეიღების მოვლა-დაპირავებას
მაშინ შეძლებდა ქვრივი დედა, თუ მას ექნებოდა უფლება
დაეცვა მათი ქონებრივი და პირადი ინტერესები, როგორც
ოჯახში, აგრეთვე საზოგადოებაში, სანამ ისინი თვითონ შეძ-
ლებდენ თავის-თავზე ზრუნვას.

ბერძენთა და სომეხთა კანონები უფრო ვრცლად ეხებიან
ქალების საჯარო უფლებებს, ზოგიერთი შემთხვევები ჩვენ
უკვე მოვისხენიეთ ზევით. ხოლო არ შეიძლება ითქვას, რომ
ეს კანონები არიან დაწესებულნი ქალების უფლებების გასა-
ფართოებლად, პირ-იქით ყოველ ნაბიჯზე გვხვდება სხვა და
სხვა შევიწროება და შეზღუდვა ქალების უფლებებისა. საზო-
გადოდ ბერძენთა და სომეხთა კანონები ნაკლებ სულ-გრძე-
ლობას და ლომობიერებას იჩენენ სუსტ არსებისადმი. სომეხ-
თა სამართალი იმასაც-კი გვამცნევს, რომ ქალი რაღაც და-
ბალ არსებას წარმოადგენსო. მაგალითად ის აწესებს: „მამა-
კაცმა არ უნდა იკადროს დედა-კაცის სამოსელის ჩაცმა; ვინც
მოიქცევა წინამდღე ამისა, ის არის საზიზღარი ღვთის
წინაშე, ვინაიღგან ამისგან შეიძლება წარმოდგენ ცული შე-
დეგე“. ეს წესი საქადაგებელია მოქადაგეთაგან და მოსამარ-
თლეთაგან“ (266). ეს მუხლი ჩვენ გვაგონებს მდაბიო ხალ-
ხში გაგრცვლებულ ფრაზას—„ქალის ლეჩაქი დამეხუროს“,
თუ...

ამით ვათავებთ... ჩვენ გამოვარკვეთ ქართველი ქალის
მდგომარეობა წარსულს ცხოვრებაში იმდენად, რამდენადაც
ამის ნებას გვაძლევდა ჩვენი კანონ-მდებელთა კრებული. თუ
კანონ-დებას დაერქმევა არსებულ ერის შემადგენელ ნაწილ-
თა შორის ეკონომიურ-საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა
სარკე, ჩვენ ამ სარკეში უეჭველად დაინახეთ ქართველი
ერის ხანგრძლივი მსვლელობა ისტორიულ გზაზე; ეს გზა,
მიუხედავად მრავლისაგან მრავალი დაბრკოლებებისა შეგნი-
დან თუ გარედან, მიიმართვის პროგრესისაკენ. ამისდა მიხე-
დვით ქართველი ქალი თან-და-თან თავისუფლდება სამარცხვი-
ნო მონობისაგან, მისი პიროვნულ-ქონებრივ-საჯარო უფლე-
ბები თანდათან ფართოვდებიან და მით უახლოვდება ის ნამ-
დვილ ლაშქარულ მდგომარეობას. ოჯახის ვიწრო ინტერესე-
ბი ვერ აკმაყოფილებენ ქართველ ქალს, მას სწყურია საზო-
გადო ასპარეზი...

დაულოცოთ გზა!
ქ. კივი.

ა ჩხენკელი.

ქართული თეატრი

კვირას, 20 ოქტომბერს, ქართულმა დრამატიულმა და-
სმა წარმოადგინა ოსტროვსკის ოთხ-მოქმედებიანი კომედია
„შრომის ლუკმა“, თარგმანი ი. ვედოშვილისა. წარმოდგე-
ნამ მწყობრათ ჩაიარა. მაყურებელი ნამდვილ ესტეტიკურ
სიამოვნებას იღებდა. ოთქმის ყველანი თავის ადგილას და
კარგნი იყვიენ, მაგრამ ვასო აბაშიძის შეუღარებელმა, ღრმათ
ჩაცვირვებულმა და შეგნებულმა თამაშმა დაჩრდილა დანარ-
ჩენნი. ეტყობოდა რეჟისორს ეშრომა ამ პიესის დადგმისა-

თვის. პიესა მშვენიერი ერთაა ნათარგმნი. სასურველია, რომ იგი კიდევ გაიწიროს ამ სეზონში.

მაგრამ რამდენათაც კვირის წარმოდგენა კარგი იყო, იმდენათ ხუთშაბათის (24 ოქტომბერი) წარმოდგენა „სოდომის წარღვნა“ იყო ცუდი. ჯერ ერთი თვით თარგმანია ძალიან ნაკლები, და მეორეც პიესა ეტყობოდა გვარიათ იყო შეკრეტილ-შემოკლებული, რის გამოც ზოგიერთ მამქმელთა პიროვნება გიჟებარა დარჩა მაყურებლებისათვის. ამას ზედ დაერთო ის გარემოებაც, რომ როლი ორიოდ მსახიობის გარდა არც ერთმა არ იცოდა და თვით მსახიობიც თავთავის ალაგას არ იყვნენ. როლის უცოდინარობა განსაკუთრებით ემჩნეოდა ქ-ნ რონელს. კარგი იყო ახალგაზრდა მსახიობი ბ-ნი ანანიაშვილი, რომ უკანასკნელ მამქმელბაში ცოტა არ გადაემლაშებია. ერთი სიტყვით „სოდომის წარღვნის“ ამნაირათ დადგმა დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს...

წერილი რედაქციის მიმართ.

(პასუხათ ბ. Parole-ს).

რეცენზია, დაბეჭდილი თქვენ პატივცემული გაზეთის 42 №-ში, შიძულეს ორიადე სიტუვა ვთქვა მის შესახებ, რადგანაც მისი შინაარსი მოშორებულია უფულ სამართლეს. სხვათა შორის ბ. Parole ბრძანებს: „რამდენიმე დამსახურებული მსახიობი «ატსტაკაში» გამოსულა. მათა ალაგი კი თფილისიდან ჩამოყვანილ არტისტებს დაუტყრიათ“. აი, სად კასლავთ თურმე დამარხული ძაღლა და აი რა ალაპარაკებს ამჯერს წერილის ავტორს!..

ბ-ნ Parole-ს ძალიან გაკვირვებია, რომ შესწავლილთა ერთათ გამოდის სტენაზე მარანაშვილი და ჩხეიძისთან — გივიშვილი. ნუ თუ განახავთ სადმე, რომ უფულ სტენაზე მდგომნი ერთგვარი უფთაღაუფენ? ნუ თუ რაცა კენიასი რისსი, სადგინი სტენაზე დგანან, — დანარჩენებიც რისი და სადგინებია არიან? რეცენზია ბრძანებს: „ან და მოხდება ისეთი შემთხვევაც, რადგანაც ქ. გივიშვილისას მართუენ 60 წლის ბებრათ, ივანიძის ქალს კი ოცა წლას „ბარაშნათ“. „მარტო გარეგნული სახის გამოცვლა და ბარაშის გაკეთება რომ კმარადეს, მამის ხამ ბ. ბოჭორაშვილიც კი შესარულეს შეიფე ლირის რადეს“. ბოდიშ ვინდი და უმარჩილესთ ვთხოვთ, ბ. რეცენზენტო, მამაგანათ, რადის იყო ქ. ივანიძე „ბარაშნათ“ მართული და გამოყვანილი? რამელ ზიესაში? მე რეკორდაც არ მახსოვს ეგ გარემოება, თუმცა კი, წარმოადგინეთ, ქუთაისის დასის რეჟისორს შეჩხანან.

ჭო, თქვენ ათათებით სემბათაშვილის ზიესაზე — „ბოჭორაშვიც“, მკრამ ივანიძის ქალმა ხამ იმ ზიესაში 45 წლის ქმარშვილთან გერაღა ქალას რელა ითამაშ და არა 20 წლის „ბარაშნისა“. გარდა ამისა ბ. ბოჭორაშვილი აქ რა მისატანი იყო! მთელი თქვნი რეცენზიის დედა აზრა ის არის, რომ შარშანდელა დასა ჯობდა წლეკანდელს. აბა, ესეც ვმანჯრათ, ვავიხსენათ.

სია შარშანდელი დასისა:	წლეკანდელი დასი:
ქ. ივანიძე.	ქ. ტასა აბაშიძე.
ქ. გუბიაძე.	ქ. ნ. ჩხეიძე.
ქ. გივიშვილი.	ქ. ივანიძე.
ქ. თათიშვილი.	ქ. მდივანი.
ქ. ჯვარიანი.	ქ. გივიშვილი.
ბ. მესხიშვილი.	ქ. თათიშვილი.
ქ. ქუჯია.	ბ. მესხიშვილი.
ბ. ნემო.	ბ. თუთბურაძე.
ბ. ზალანჩივაძე.	ბ. ნემო.
დ. ჩარკვიანი.	ბ. დ. ჩარკვიანი.
გ. ჩარკვიანი.	ბ. იმედაშვილი.
ზარდალიშვილი.	ბ. ურუშაძე.
ბოთლიაშვილი.	ბ. მირიანაშვილი.
	ბ. ზარდალიშვილი.
	ბ. ბოთლიაშვილი.

რეკორდზე დავით ივანე მსახიობნი იღებენ მონაწილეობას, რამელნიც შარშან მსახურებდენ, მნალოთ წელს ალაი ქ. გუბიაძე, ბ. ქუჯია, ბ. ზალანჩივაძე და ბ. გ. ჩარკვიანი (თხზავთ დავით ჩარკვიანთ არ ჩათვალათ). სამაგურათ წელს მოქმედენ: ტასა აბაშიძე, ნ. ჩხეიძე, მ. მდივანი, ბ. იმედაშვილი, მ. ურუშაძე, ბ. მირიანაშვილი. ნუ თუ ამ დამატებამ რა რეკორდის დასს, რომ „სისამბლი“ დაარღვია?!

მამ ვინ არიან ის დამსახურებული მსახიობნი, რამელთა „ატსტაკას“ ტირის და გლოვობს ბ. რეცენზენტო?

თუ ზალანჩივაძეზე და ქუჯიზე გვათათებს, ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნათ, რომ ორივენი მოწვეული იყვენ, მკრამ ორთავემ უნა განაცხადეს თავიანთ კერძო საქმეებასა კამო.

რეჟისორი ქუთაისის დასისა ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

შეცდომის გასწორება.

(№ 43 წერილი ჭათურადას, ბეკურელას)

გვ. სვეტი სტრ.	არის:	უნდა იყოს:
693 1 38	შეცვლილი პირობაც, საზოგადოებაც და პატრონიც.	შეცვლილი პირობაც არ შეუღოწმებია საზოგადო კრებას.
» » 39	იურიდიულათ ისინი კი არ აგებენ პასუხს.	იურიდიულათ მარტო წარმომადგენლები არ აგებენ პასუხს.
» » 53	საზოგადოებას იქნებ უფრო მოეგოს.	საზოგადოების დაკითხვით იქნებ უფრო მოეგოს.
» » 81	50,000 მანეთი.	50,000 მანეთათ პიროველათ.
» » 91	იქნება კარგიც იყოს და არც სჯობდეს საქმისთვის.	იქნება კარგიც იყოს და ასეც სჯობდეს საქმისთვის.
» » 98	მართალია ამ ამხანაგობის დამაარსებელი და სათავეში მყოფი გიორგი ზდანოვიჩია.	ამ ამხანაგობის წარმომადგენელი და...
» » 103	ერთი კაცის საქმეც არჩევანი.	ერთი კაცის საქმეც არჩევანი.
» » 113		ისიც მხოლოთ დროებით მმართველები არიან და არა დაკანონებული გამგეობა.
694 1 144	არის მაგ ფასში.	იმ ფასებში.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

ტელეფონი 617

ქართული თეატრი

კვირას, 27 ოქტომბერს 1902 წ.

იაფ ფასიანი წარმოდგენა

ქართული დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ს ა ლ ა მ ი თ ი

დასავლეთის ფასებით ქალაქ ალექსანდრის ხნაპს

კომ. 4 მოქმედებთ.

II.

არჩევ-დარჩეა

ვოლკევილი 1 მოქმედ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბონია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნაა, ი. ივანიძე, კ. შათირიშვილი, ყალამბეგიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოკები 4 მანეთიდან 8 მან.-დღე; პარტეტი 50 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 80 კ.-მდე; გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.

დასაწეისი საღამოს 8 საათსე.

მხადღება წარმოსადგენათ „სახსას მტერა“ (ეკიმი შტოკმანი).

თუკრის გამკება უმარხილესთ სთხვას მკურებებს, ზიესის მოქმედებას დრთს ტაშს სუ დაუკრავს და სუ გამოაწვევს ხოლმე მსახობთ, რადგან უდრთკო-დრთს მოქმედების შეწყვეტა ზიესის სხდენს და მსახობათაც აკრძალულა აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასკრავათ.

რეჟისორი ვ. გუნაა.

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წლის „საქართველოს კალენდარი“ ვ. ზ უ ნ ი ა ს ი.

გამოც. ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების. კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდით შემდეგის შირობით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მ., 1/2 გვ.—6 მან.; კალენდრის ბოლოში—1 გვერდი—7 მან., 1/2 გვ.—4 მ., 1/4 გვ.—2 მ., მარტო აღრესის გამოცხადება—1 მან.

განცხადება მიიღება

ტფილისში—ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში.

ქუთაისში—გ. ბუჯაქიშვილთან და შატ. ღადაძესთან.

ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და ეკ. ჭვდიტესთან.

ნოემბერში გამოვა „ქართ. შ. წ.-კითხ. გამავრც. საზ. გამოც. კელლის კალენდარი“.

РУССКОЕ БОГАТСТВО

ИЗДАВАЕМОЕ

В. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПРИЕМЪ ПОДПИСКИ НА 1903 ГОДЪ.

На годъ съ доставкой и пересылкой 9 р., безъ доставки въ Петербургъ и Москвѣ 8 р., за границу 12 р. Адресъ: Петербургъ,

Баскова ул., 9; Москва, Никитскія ворота, д. Гагарина. При непосредственномъ обращеніи по этимъ адресамъ допускается подписка на полгода съ уплатой 5 р.—Книжные магазины, библиотеки, земскія склады и потребительныя общества могутъ удерживать за комиссію и пересылку денегъ только 10 коп. съ каждаго годоваго экземпляра. Подписка на полгода отъ нихъ не принимается.

Въ контору журнала „Русское Богатство“ [Спб., уг. Спасской и Басковой ул. д. 1—9] поступили въ продажу Сочиненія Глеба Успенскаго въ трехъ томахъ, съ портретомъ автора и вступительной статьей Н. К. Михайловскаго. Изданіе Ф. Θ. Павленкова 1897 и 1898 г. Цѣна каждаго тома 1 р. 50 коп. Уступка 20 0/0. Пересылка на счетъ покупателей—посылкой, бандеролью или товаромъ большой скорости.

ЕЖЕНЕДѢЛЬНАЯ

финансово-экономическая, торговая и промышленно-техническая газета

„ПРОМЫШЛЕННЫЙ МІРЪ“

Газета «Промышленный Миръ» выходитъ еженедѣльно, въ объемѣ около 3 листовъ текста, и содержитъ слѣдующіе отдѣлы:

- I. Правительствоныя распоряженія.
- II. Статьи, обзоры и корреспонденціи по финансово-экономическимъ и торгово-промышленнымъ вопросамъ.
- III. Хроника.
- IV. Кредитъ и банковое дѣло.
- V. Акціонерное дѣло.
- VI. Фабрично-заводскій отдѣлъ.
- VII. Горное дѣло.
- VIII. Хлѣбная торговля и мукомольная промышленность.
- IX. Страховое дѣло.
- X. Пути сообщенія, тарифы, фрахты.
- XI. Обзоръ печати и библиографія.
- XII. Вопросы и отвѣты (практическія свѣдѣнія, указанія и сообщенія промышленнымъ дѣятелямъ).
- XIII. Объявленія.

Редакція газеты „Промышленный Миръ“ относится съ полнымъ безпристрастіемъ ко всякому обоснованному мнѣнію по вопросамъ нашего экономическаго быта.

Столбцы газеты открыты какъ для представителей экономической науки, такъ и для просвѣщенныхъ практическихъ дѣятелей, которые прямо заинтересованы въ томъ, чтобы нужды разныхъ отраслей торгово-промышленной дѣятельности своевременно оставались на себѣ вниманіе общества и правительства.

Кромѣ указанныхъ отдѣловъ, въ 1903 г. будетъ введенъ самостоятельный отдѣлъ „ПОЛИТЕХНИКА“ (иллюстрированный вѣстникъ практической техники и экономики производства), который представитъ картину промышленнаго и технич. прогресса въ различныхъ областяхъ за текущій годъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ пересылкой и доставкой: на годъ—10 руб., полгода—5 р. и четв. года—3 р.

Подписка принимается въ конторѣ редакціи: С-Петербургъ, Коломенская ул., д. № 1. и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.

Пробные № № высылаются по первому требованію **БЕЗПЛАТНО**.

Редакторъ-Издатель А. С. Залшупинъ.